www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 28 დეკემბერი, 2013 წელი. | №3439 (246) | ფასი 50 თეთრი

პარლამენტმა მხოლოდ სამი მეურვე აირჩია

პარლამენტმა გუშინ რიგგარეშე სესიის რეჟიმში მუშაობა სახელმწიფო ჰიმნის ფონზე დახურა. საგაზაფხულო სესია, რეგლამენტის თანახმად, თებერვლის პირველ სამშაბათს გაიხსნება. თუმცა, პარლამენტარების მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო მათ იანვარში რიგგარეშე სესიის ფორმატში კვლავ მოუწევთ მუშაობა.

საკანონმდებლო ორგანომ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს წევრობის კანდიდატების სრულად არჩევა ვერ შეძლო. საკითხის განხილვამდეც ცნობილი იყო, რომ ბორდი სრულად არ დაკომპლექტდებოდა. საპარლამენტო უმრავლესობამ სამი კანდიდატის ნაცვლად (რისი უფლებამოსილებაც კანონმდებლობით ჰქონდა), მხოლოდ ერთი - ნათელა სახოკიას კანდიდატურა წარადგინა. უმრავლესობის გარეთ დარჩენილ პარლამენტარებს ასევე სამი კანდიდატის წარდგენა შეეძლოთ.

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ ნინია კაკაბაძისა და ქეთი მსხილაძის კანდიდატურები დაასახელა. რაც შეეხება დანარჩენ დეპუტატებს, ფრაქცია „უპარტიო, დამოუკიდებელ მაჟორიტარებს“ კანდიდატურა არ შეურჩევიათ. პროცესში არც ფრაქციის გარეთ დარჩენილ რვა პარლამენტარს მიუღია მონაწილეობა.

პარლამენტისგან განსხვავებით, კანდიდატურების დასახელების უფლებით სრულად ისარგებლეს სახალხო დამცველმა უჩნა ნანუაშვილმა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

ლევან გახელაძე: „სამოქალაქო სექტორმა მორიგი ალიყური მიიღო“

პარლამენტმა „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ბორდის წევრობის სამი კანდიდატი დაამტკიცა. ცხრიდან ექვსი ადგილი კი ვაკანტურია.

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭო, ახალი კანონის თანახმად, ცხრა წევრის შემადგენლობით უნდა დაკომპლექტდეს. გუშინ კი პარლამენტს მხარდასაჭერად მხოლოდ ექვსი კანდიდატი წარედგინა, თუმცა ხმების საჭირო რაოდენობა (კვორუმი 76 ხმა) მხოლოდ სამმა მიიღო: სახალხო დამცველის მიერ წარდგენილმა მარინე მუსხელიშვილმა (82-მომხრე, 17-წინააღმდეგი), საპარლამენტო ოპოზიციის მიერ შერჩეულმა ქეთევან მსხილაძემ (99 მომხრე) და უმრავლესობის მიერ შეთავაზებულმა ნათელა სახოკიამ (83-მომხრე, 3-წინააღმდეგი).

პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა ასევე სახალხო დამცველის მიერ დასახელებული ლელა გაფრინდაშვილის, უმრავლესობის გარეთ მყოფი დეპუტატების მიერ შერჩეული ნინია კაკაბაძისა და აჭარის უმაღლესი საბჭოს მიერ წარდგენილი გენადი გელაძის კანდიდატურებს.

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ლევან გახელაძე მიიჩნევს, რომ შეუძლებელია, ახალი ბორდი პოლიტიზებული არ იყოს.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

აშშ საქართველოსთან სამხედრო თანამშრომლობას აგრძელებს

პარლამენტში, რამდენიმე კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეს დავით ზალკალიანს მოუსმინეს. როგორც მან პარლამენტარებს ამცნო, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ თავდაცვის ავტორიზაციის აქტს, რომელიც პარტნიორ ქვეყნებთან, მათ შორის საქართველოსთან, სამხედრო თანამშრომლობას და დახმარებას გულისხმობს, ხელი მოაწერა. **„მინდა, სასიხარულო ინფორმაცია მოგაწოდოთ, რომელიც თბილისიდან ქუთაისისკენ მომავალმა გზაში მივიღე ჩვენი ელჩისგან. ეს ძალიან მნიშვნელოვანი აქტია, რომელიც სტრატეგიულ პარტნიორებთან სამხედრო თანამშრომლობას და დახმარებას ითვალისწინებს,“** - აღნიშნავს ზალკალიანი.

მინისტრის პირველი მოადგილის თქმით, ამ საკითხის შესახებ დისკუსია, როგორც სენატში, ასევე კონგრესის წარმომადგენლობით პალატაში რამდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. ზალკალიანმა დეპუტატებს კონგრესმენ ტერნერის მიერ მომზადებული „დამატებაც“ გაახსენა, რომელიც, ზალკალიანის თქმით, საქართველოსთვის სახარბიელო ელემენტებს არ შეიცავდა. **„ეს ტექსტი ამოიღეს და საბოლოოდ ძალიან კარგი ვარიანტი მივიღეთ,“** - თქვა დავით ზალკალიანმა. როგორც მან დასძინა, ეს გადაწყვეტილება საქართველოსთვის მნიშვნელოვანია. **„აშშ-საქართველოს ურთიერთობა ყველა მიმართულებით ვითარდება - მათ შორის, სამხედრო სფეროში თანამშრომლობის კუთხით,“** - ამბობს დავით ზალკალიანი.

2014 წელს საგარეო ურთიერთობების მიმართულებით მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ საუბრისას დავით ზალკალიანმა რუსეთის ხელისუფლების სავარაუდო ნაბიჯები გამოყო.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

ნიკოლაი აზაროვი: რაც არ მოგვცა სავალუტო ფონდმა, მოგვცა რუსეთმა

უკრაინის მილიციამ უკვე მეხუთე ადამიანი დაკავა, რომელიც ჟურნალისტსა და ოპოზიციონერ აქტივისტისტ ტატიანა ჩორნოვოლზე თავდასხმაშია ეჭვმიტანილი. უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი საგამოძიებო სამმართველოს უფროს ნიკოლაი ჩიჩიკინის განცხადების თანახმად, წინასწარი მონაცემებით, დაკავებული უშუალოდ მონაწილეობდა ჟურნალისტის ცემაში. ამასთან, კიევში დამოუკიდებლობის მოედანზე გრძელდება საპროტესტო აქციები ევროინტეგრაციის კურსის შეჩერებისა და ასოცირების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერის გაუქმების (თუ გადადების) გამო.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6643⇓		
1 ევრო	2.2110⇓		
1 ინგლისური გირვანქა	2.5933⇓		
1 თურქული ლირა	0.8622⇓		
100 რუსული რუბლი	5.0433⇓		
თბილისი	7°C	-30°C	
ქუთაისი	8°C	-2°C	
ზუგდიდი	8°C	-1°C	
ბათუმი	9°C	-2°C	
ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA
ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

ფეხბურთის ფედერაციამ 2013 წლის საუკეთესოები გამოავლინა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ განვლილი წელი ტრადიციულად, წლის შემაჯამებელ ღონისძიებაზე - „GFF Awards 2013“-ზე შეაჯამა.

საზეიმო საღამოს ესწრებოდნენ ნაკრებების სამწვრთნელო შტაბის წევრები, საფეხბურთო კლუბების ხელმძღვანელები, ვეტერანი ფეხბურთელები, საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები, სპორტული მედიის წარმომადგენლები და სხვა საპატიო სტუმრები.

გაგრძელება
მე-8 გვერდზე

ჯეიკ ლამოტა vs როკი ბალბოა

იანვრის გაქირავებაში 47 რონინს, ერთ მეოცნებესა და ორ მოკრივეს შეხვდებით

ია ვეკუა

უკვე მეორე კვირაა ჩვენს კინოგაქირავებაში წლის ყველაზე მსუყე ბლოკბასტერი „ჰობიტი: სმაუგის ნაოხარი“ გადის. პიტერ ჯეკსონის მორიგი ფენტეზის ნახვა მომავალი წლის იანვარშიც შეგეძლებათ, თუმცა იანვარს თავისი აფიშაც აქვს, რომელსაც ქვემოთ გაგაცნობთ. ამ თვეში გაქირავებაში კიდევ ერთი ფენტეზი გამოვა, თუმცა ამ ჟანრის თანამედროვე ვერსია, რომელშიც დრაკონებისა და მაგების ნაცვლად ციფრულ ტექნიკასა და უახლესი მოდელის ავტომანქანებს შეხვდებით.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

გიორგი ქადაგიძე - ლარის კურსი საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებს ასახავს

ლარის კურსი საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებს ასახავს, - ამის შესახებ ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა, გიორგი ქადაგიძემ გუშინ 2013 წლის შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ინფორმაციით, წლის პირველ ნახევარში განხორციელდა ზეწოლა ლარის კურსის გამყარებაზე, კერძოდ ეროვნულმა ბანკმა შეიძინა 550 მილიონი დოლარი, ხოლო წლის მეორე ნახევარში წნეხი იყო გაუფასურებაზე, რა დროსაც ეროვნულმა ბანკმა გაყიდა 220 მილიონი დოლარი.

„საბოლოო ჯამში, ჩვენ შევინარჩუნეთ სავალუტო რეზერვების ადეკვატური დონე, რაც არის სამი მილიარდი. ეს ხდება იმ პირობებში, როდესაც 2013 წელს ჩვენ გადავიხადეთ სავალუტო ფონდის სესხი 240 მილიონი დოლარის ოდენობით. მომავალი წლის მესამე კვარტალში დავასრულებთ სავალუტო ფონდის სესხის გადახდას და 1994 წლიდან პირველად ეროვნულ ბანკს არ ექნება საგარეო ვალი," - განაცხადა ქადაგიძემ.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ინფორმაციით, წლის დასაწყისიდან ლარი დოლართან მიმართებაში 4,5 პროცენტით გაუფასურდა, თუმცა ეკონომიკურ და ფინანსურ სტაბილურობას საფრთხე არ ემუქრება.

„ჩვენი მთავარი ამოცანაა, არ დავუშვათ ინფლაციური წნეხის ასახვა ეკონომიკის ზრდასა და ფასების სტაბილურობაზე. თუ ეს ასე მოხდა, შევწყვეტთ შერბილებულ მონეტარულ პოლიტიკას და გავამკაცრებთ. საქართველო მომავალშიც შეინარჩუნებს მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმს, რაც გულისხმობს იმას, რომ ლარი ხან გამყარდება, ხან გაუფასურდება, თუმცა მოძრაობის ამპლიტუდა არ იქნება ისეთი, რომ ქვეყნის ეკონომიკა დააზიანოს," - აღნიშნა ქადაგიძემ.

გიორგი ქადაგიძის შეფასებით, კურსის ფორმირებაში ბევრი ფაქტორი მონაწილეობს, რომელთაგან ძირითადია შერბილებული მონეტარული პოლიტიკა, საბიუჯეტო ხარჯების გააქტიურება და იმპორტის ზრდა.

როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა განმარტა, კურსის მერყეობა საფრთხის შემცველი არ არის.

გიორგი ქადაგიძის თქმით, კლასიკური ეკონომიკური თეორიის მიხედვით, ლარის კურსის გამყარების ტენდენცია საშუალო და გრძელვადიან პერიოდში მხოლოდ მაშინ იქნება, თუ საქართველოს ეკონომიკა გაიზრდება უფრო მაღალი ტემპით, ვიდრე მისი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებისა.

„ჩვენი ამოცანა არ არის კურსის კონტროლი. ჩვენი ამოცანაა ფასების კონტროლი და ინფლაციის შენარჩუნება. კურსის მერყეობა ჩვეულებრივი მოვლენაა და, საკმარისი რეზერვების გათვალისწინებით, საქართველოს ეკონომიკას და ეროვნულ ვალუტას საფრთხე არ ემუქრება," - აღნიშნა ქადაგიძემ.

„ნაციონალური მოძრაობა" ირინა იმერლიშვილსა და ოთარ ფარცხალაძეს ძვირადღირებული მანქანების შეძენაში ადანაშაულებს

„ნაციონალური მოძრაობა" ხელისუფლებას თანხების არამიზნობრივ ხარჯვაში ადანაშაულებს და ამ თემაზე განცხადებას ავრცელებს.

„საზოგადოებას ახსოვს მმართველი ძალის მცდელობა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მიერ 2014 წლის მოდელის ძვირადღირებული ავტომობილის შეძენის ფაქტი იზოლირებულ ინციდენტად გაესაღებინა. დღეისათვის უკვე ცხადია, რომ ხელისუფლების სხვადასხვა შტოები დაკავებულნი არიან უახლესი და ძვირი მანქანების შეძენის აშკარად თვითმიზნური კამპანიით.

მაშინ, როცა საქართველოს მთავარი პროკურორის გერმანიაში ყაჩაღობასა და ქურდობის გამო ნასამართლობას „ქართული ოცნებიდანაც" ეჭვქვეშ აღარავინ აყენებს, როცა საზოგადოებისთვის ნათელია, რომ ბატონ ფარცხალაძეს ამავე დროს არ გააჩნია შესაბამისი განათლება, აღმოჩნდა, რომ სახელმწიფომ მისი პირადი კომფორტისათვის 174 ათას ლარად ღირებული ჯიპი შეიძინა. მთავარი პროკურორის თანამდებობიდან გადაყენების ნაცვლად, მის კომფორტზე ასეულ ათასობით ლარის ხარჯვა უარესად შეურაცხმყოფელია თითოეული მოქალაქისთვის.

ქალბატონი ირინა იმერლიშვილი, რომელმაც საზოგადოებას თავი უკრაინის პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოს მასპინძლობისთვის წინა ხელისუფლების მიერ განეული ხარჯების ფრიალით დაამახსოვრა, ასევე დაკავებულია საკუთარი კომფორტით. მან თანამდებობაზე დანიშვნისთანავე შეიძინა 78 ათასი ლარის ღირებულების „ტოიოტა პრადო". ძვირადღირებული Iphone 5s მობილური ტელეფონების შესაძენად კი უშიშროების საბჭომ თითქმის 50 ათასი ლარი დახარჯა.

ზემოთ ჩამოთვლილი არასრული ფაქტები, ერთი მხრივ, აჩვენებს ხელისუფლების არათანამიმდევრულობას წინასაარჩევნო დაპირებების შესრულებაში. მაგრამ, კიდევ უფრო შემაშფოთებელია, რომ ეს ყველაფერი ხდება არა წინა წლებისთვის დამახასიათებელი ეკონომიკური ზრდის პირობებში, არამედ იმ ფონზე, როცა სახელმწიფო ბიუჯეტში გარღვევამ ანუ დანაკლისმა მიაღწია 800 მილიონ ლარს, ეკონომიკას დააკლდა მილიარდ-ნახევარი ლარი, იზრდება უმუშევრობა და სიღარიბე, ხოლო მომავალ წელს მთავრობა აპირებს, ქართველი ხალხი დაამძიმოს მილიარდ 600 მილიონი ახალი ვალით და, ამავე დროს, 2014 წელი იქნება პირველი წელი, როცა არ იზრდება პენსია. მეტიც, ჩინოვნიკებს, მათ შორის მაღალი თანამდებობის პირებს, რომელთაც ხელფასი ისედაც რამდენიმე ათასი ლარი აქვთ, ანაზღაურება ეზრდებათ 137 მლნ ლარით.

კიდევ ერთხელ გვსურს, მკაფიოდ აღვნიშნოთ, რომ „ქართული ოცნების" მთავრობას ადგილზე დახვდა გამართული და თანამედროვე ავტოპარკი, რომელიც განახლების მწვავე აუცილებლობას არ განიცდის," - ნათქვამია განცხადებაში.

აშშ საქართველოსთან სამხედრო თანამშრომლობას აგრძელებს

პირველი გვერდიდან

„რუსეთის მხრიდან სერიოზული ზეწოლაა მოსალოდნელი და ამისთვის ვემზადებით. ჩვენს პარტნიორებთან მუდმივი კონსულტაციის რეჟიმში ვართ, რათა საქართველოს საგარეო კურსსა და პრიორიტეტებზე რუსეთის ფედერაციამ გავლენა არ მოახდინოს," - აღნიშნავს ზალკალიანი.

სხდომაზე საუბრის ერთ-ერთი მთავარი თემა ჟენევაში მიმდინარე საერთაშორისო დისკუსიის პროცესი იყო. **„როგორც ცნობილია, ჟენევაში ყოველწლიურად მოლაპარაკების 4 რაუნდი იმართება. მიუხედავად იმისა, რომ როგორც ოკუპირებული აფხაზეთის, ისე ცხინვალის წარმომადგენლების მხრიდან ჟენევის ფორმატის დაკნინების და, გარკვეულწილად, რაუნდების შემცირების მცდელობები იყო, რაც ორკესტრირებული იყო რუსეთის ფედერაციის მიერ, ჩვენ მყარი და მკაფიო პოზიციის შედეგად მოვახერხეთ და შევინარჩუნეთ, როგორც ფორმატი, ისე რაუნდების რაოდენობა. ეს არ იყო ადვილი წელი. განსაკუთრებით რთული გამოდგა პირველი ორი რაუნდი, რომლის დროსაც ოკუპირებული ტერიტორიების წარმომადგენლები ფორმატის დაკნინებას და თავიანთი სტატუსის აწევას ცდილობდნენ და ამის გამო ძირითად საკითხებზე კონცენტრირება ვერ მოხერხდა. მე-3 და მე-4 რაუნდებზე კი ძირითადი აქცენტი მთავარ თემებზე გადავიდა, მათ შორის ოკუპირებული ხაზის გასწვრივ მიმდინარე პროცესებზე, რაც მავთულხლართების დამონტაჟებაში გამოიხატება,"** - თქვა დავით ზალკალიანმა. მისი აზრით, რუსეთზე ქართული მხარის ზემოქმედების ერთადერთი ბერკეტია, მოხერხდეს საერთაშორისო თანამეგობრობის კონსოლიდაცია, რათა საერთაშორისო თანამეგობრობამ მოსკოვთან ორმხრივ დიალოგში აღნიშნული საკითხი პრიორიტეტულად მიიჩნიოს. როგორც მინისტრის მოადგილე ამბობს, ჟენევაში რუსეთის დელეგაციას გამოსვლა თავის მართლების რეჟიმში უხდება და **ეს მას, რა თქმა უნდა, კომფორტულ მდგომარეობაში არ აყენებს,"** - დასძენს ზალკალიანი.

მინისტრის პირველი მოადგილე ჟენევის დისკუსიის ფარგლებში შექმნილი გარემოებების შესახებაც ჰყვება. **„ერთი თანათავმჯდომარის პოზიცია ჩვენთვის, გარკვეულწილად, სახარბიელო არ იყო. იგი ხშირ შემთხვევაში მერყეობით გამოირჩეოდა, ჩვენი დაყოლიების კუთხით რუსეთის ფედერაციასთან გარკვეული თამაშიც კი მიდიოდა. მაგრამ, კარგია, რომ ეს პროცესი ისე დასრულდა, როგორც ჩვენ გვინდოდა. მომავალი წლიდან ახალი თანათავმჯდომარე იქნება,"** - თქვა ზალკალიანმა.

ჟენევის მოლაპარაკებების მომავალი რაუნდიდან ევროკავშირს ახალი წარმომადგენელი ეყოლება. **„ევროკავშირის წარმომადგენლის სახელით ჟენევის ფორმატში თანათავმჯდომარის რანგში ფილიპ ლეფორმა მოღვაწეობა დაასრულა. შემდეგ რაუნდზე, რომელიც 25-26 მარტს შდგება, ევროკავშირს ახალი წარმომადგენელი ეყოლება და მნიშვნელოვანია, ახალმა თანათავმჯდომარემ ისეთი სერიოზული მხარდაჭერა გამოგვიცხადოს, როგორიც სხვა თანათავმჯდომარეების და აშშ-ს მხრიდან გვაქვს,"** - აღნიშნა მინისტრის მოადგილემ.

საკუთარი ინფორმაცია

უგულავა უგულავამ უნდა გადაიყენოს

დედაქალაქის მერისთვის თანამდებობრივი უფლებამოსილების შეჩერების აღსრულების საკითხზე შეხვედრა პროკურატურისა და იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლების გარეშე გაიმართა. შეხვედრას მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციები და მერიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. კერძოდ, შეხვედრაზე ვიცე-მერი სევდია უგრეხელიძე, თბილისის მერის მოადგილე ირაკლი აბესაძე და სხვა პირები იმყოფებოდნენ.

«საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის» თავმჯდომარის კახა კოჟორიძის განცხადებით, საია-ს თავისი კონკრეტული შენიშვნები აქვს აღნიშნული გადაწყვეტილების, განსაკუთრებით კი გადაწყვეტილების მიღების პროცედურების მიმართ.

კოჟორიძის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობით ბევრი კითხვა პასუხგაუცემელია და ბუნდოვანებაა, ამ ბუნდოვანების შექმნას თავად სასამართლოს გადაწყვეტილებამაც შეუწყო ხელი, როდესაც განჩინების აღსრულების ორგანიზება პროკურატურას დაევალა. მეორე მხრივ კი, საია-ს თავმჯდომარის განცხადებით, პროკურატურიდან თბილისის მერიაში მივიდა წერილი, რომ თბილისის მერიის იურიდიულ სამსახურს ემოქმედა, რათა სასამართლოს ეს გადაწყვეტილება აღსრულებულიყო.

„მთლიანობაში ასეთი მოცემულობაა - გვაქვს სასამართლოს უკვე კანონიერ ძალაში შესული განჩინება, სადაც წერია, რომ თბილისის მერი თანამდებობიდან გადაყენებულია. მიუხედავად იმისა, ამ კონკრეტულ ვითარებაში პროკურატურა ან თბილისის მერიის რომელიმე სამსახური მიმართავს თუ არა რამე ქმედებას, ან მიიღებს თუ არა რამე აქტს, სასამართლოს გადაწყვეტილებას ამ კონკრეტულ ვითარებაში აქვს პირდაპირი მოქმედების ძალა. მიგვაჩნია, რომ თბილისის მერი ავტომატურად თანამდებობიდან გადაყენებულია," - განაცხადა კახა კოჟორიძემ.

მისივე თქმით, კანონმდებლობაში ნორმების არარსებობა არ შეიძლება, სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობისთვის იქნეს გამოყენებულ.

„ერთია გაუგებრობა და მეორე გამოსავალი. გამოსავალი ვერ იქნება ამ გადაწყვეტილების აღსრულებლობა. ეს იქნება სასამართლოს მიმართ უპატივცემულობა," - განმარტა კახა კოჟორიძემ.

მისივე თქმით, გიგი უგულავა თანამდებობიდან გადაყენებულად მას შემდეგ მიიჩნევა, რაც სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა.

თუმცა, „საიას" თავმჯდომარე განმარტავს, რომ გიგი უგულავასთვის თანამდებობრივი უფლებამოსილების შეჩერების აღსრულების საკითხი კანონმდებლობით დეტალურად არ არის დარეგულირებული.

„კანონში ცოტა ბუნდოვანებაა დატოვებული, ისიც კი არ არის დარეგულირებული, საერთოდ შეიძლებოდა თუ არა, პირდაპირი გზით არჩეული მერის საკითხი სასამართლოს განეხილა. ჩვენ თავიდანვე გავაკეთეთ განცხადება, რომ რადგან სისხლის სამართლის კოდექსში წერია ზოგადად თანამდებობის პირი და რადგან მერი არის თანამდებობის პირი, სასამართლოს შეეძლო ეს ჩანაწერი ასე განემარტა, რომ მერის გადაყენების საკითხი ფორმალური თვალსაზრისით დაეკმაყოფილებინა," - განაცხადა კოჟორიძემ.

რაც შეეხება უგულავასთვის თანამდებობრივი უფლებამოსილების შეჩერების აღსრულებას, რადგან მერს არ ჰყავს ზემდგომი თანამდებობის პირი, არ შეიძლება ამის გამოყენება არგუმენტად, რომ გადაწყვეტილება არ აღსრულდეს ან შეფერხდეს.

„სასამართლოს გადაწყვეტილებას ამ კონკრეტულ შემთხვევაში პირდაპირი სავალდებულო ძალა აქვს და მიუხედავად იმისა, მერიის რომელიმე სამსახური - იქნება ეს იურიდიული თუ ნებისმიერი სხვა - მიიღებს თუ არა აღსრულების მიზნით რამე კონკრეტულ აქტს და განახორციელებს თუ არა ქმედებას, მერი, ჩვენი შეფასებით, ავტომატურად გადაყენებულად მიიჩნევა, როგორც კი კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს განჩინება. მიუხედავად იმისა, მოსწონთ თუ არა ეს განჩინება, რადგან ამ საკითხის განხილვის მიმართ ჩვენც გვაქვს შენიშვნები ზოგადად სასამართლოს მიმართ, რომ დაცვის მხარეს არ მიეცა დოკუმენტის, თავისი პოზიციის წარდგენა და ასე შემდეგ, სასამართლოს გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, სავალდებულოა შესასრულებლად და არც ერთი არგუმენტი, არც ჩვენ მიერ ნათქვამი და არც სხვა რომელიმე მხარის მიერ ნათქვამი, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ კონკრეტული განჩინების არშესრულების არგუმენტად. ის უნდა შესრულდეს," - განაცხადა კოჟორიძემ.

მისივე თქმით, ამჟამად, შეიძლება ითქვას, მერი უკვე გადაყენებულია, რადგან სადავო არ არის ის, რომ სასამართლოს განჩინება უკვე ძალაშია.

„მესმის, რომ აზრთა სხვადასხვაობაა, მათ შორის ცოტა გაუგებრობა სასამართლოს განჩინებამ და პროკურატურის წერილმა გამოიწვია, რადგან სასამართლოს განჩინებაში პროკურატურას დაევალა აღსრულება. არ ვიცი, ეს პროკურატურამ როგორ უნდა აღასრულოს. მერე პროკურატურამ სთხოვა მერიის იურიდიულ სამსახურს, რაღაც ემოქმედა. მერიის იურიდიული სამსახურიც ვერაფერს გააკეთებს, რა უნდა გააკეთოს, გაუგებარია - ეს არც სასამართლოს განჩინებაშია განმარტებული და არც პროკურატურას განუმარტავს, რას გულისხმობენ ამ ყველაფერში. ეს ყველაფერი ზედმეტი იყო. სასამართლოს განჩინება ამ კონკრეტულ შემთხვევაში ავტომატურად სავალდებულოა. კანონდებლობით პროცედურები რომ ყოფილიყო გაწერილი, გასაგებია, მაგრამ რადგან არ არის გაწერილი და ბუნდოვანია, ბუნდოვანების განმარტების საშუალება მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს აქვს. რადგან სასამართლომ თქვა, რომ გადაყენებულია, დამთავრდა ამ საკითხზე სამართლებრივი კუთხით მსჯელობა," - აცხადებს საია-ს თავმჯდომარე.

რაც შეეხება იმას, რომ გიგი უგულავა აღნიშნული გადაწყვეტილების საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრებას აპირებს, ეს სასამართლოს განჩინების აღსრულებას ვერ შეაჩერებს.

თბილისის ვიცე-მერის სევდია უგრეხელიძის განცხადებით, გუშინდელი შეხვედრის მიზანი იყო გამოსავლის მოძებნა ამ ვითარებიდან.

„ვინ უნდა აგოს პასუხი სამართლებრივად განჩინების შეუსრულებლობისთვის?! სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა დანაშაულია. მაინტერესებს და ვეკითხები პროკურატურას - ამაზე მე ვარ პასუხისმგებელი და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა მე დამეკისრება?! მგონი ვერა - არ ვარ მე მერის ზემდგომი, რომ იგი გადავაყენო, მით უმეტეს, ადმინისტრაციის უფროსი. გიგი უგულავამ უნდა გამოსცეს თავის თავზე ასეთი აქტი?! ეს ჩემთვის გაუგებარია", - აღნიშნა დედაქალაქის ვიცე-მერმა.

იურისტ ლევან ალაფიშვილის განცხადებით, გიგი უგულავასთვის თანამდებობრივი უფლებამოსილების შეჩერების შესახებ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელია.

მისი თქმით, სააპელაციო სასამართლომ მარტივი გზა ნახა, პრობლემა პრობლემად დატოვა, რადგან ამ საკითხის განხილვის უფლებაც არ ჰქონდა.

„სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს გამოძიების დროს თანამდებობის პირთა გადაყენების ორ წესს: პირდაპირი წესით არჩეული ან პარლამენტის ან წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ დამტკიცებული პირების - პარლამენტის წევრის, ავტონომიების უმაღლესი საბჭოს წევრის, გენერალური აუდიტორის, სახალო დამცველის გადაყენების საკითხის განხილვა ხდება სამართლებრივი გზით. მთავარი პროკურორი მიმართავს შესაბამის ორგანოს, ეს იქნება პარლამენტი თუ უმაღლესი საბჭო და ისინი იღებენ გადაწყვეტილებას, გადააყენოს თუ არა ესა თუ ის პირი. სასამართლო აქ არ მონაწილეობს. მეორე გზა, რომელიც ამ კოდექსმა მოგვცა, დანიშნული ან დამტკიცებული პირების სასამართლოს საშუალებით გადაყენებაა - მაგალითად, მინისტრის, პრემიერ-მინისტრის, სხვა არაპირდაპირი არჩევითი პირის, რომელსაც ჰყავს ზემდგომი ორგანო. ამ შემთხვევაში პროკურატურა მიმართავს სასამართლოს, სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას, რომელსაც ზემდგომი პირი აკმაყოფილებს. უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთ და არც მეორე ჩამონათვალში არ ხვდებიან საკრებულოს წევრები, პრეზიდენტი და თბილისის მერი," - აღნიშნა ალაფიშვილმა.

მისივე თქმით, თბილისის მერის იმპიჩმენტის საშუალებით გადაყენების უფლებაც არ არსებობს.

„გიგი უგულავას არჩევის შემდგომ შეიცვალა ეს წესი. დღეს არ არსებობს იმპიჩმენტით მისი გადაყენების საფუძველი. ეს ორი წესი რომ შევაჯამოთ, სასამართლოს ამ საკითხის განხილვის უფლება არ ჰქონდა. მოცემული არ იყო გადაყენების მექანიზმი. ველოდი, რომ ზემდგომი სასამართლო ამას არც კი განიხილავდა," - აღნიშნავს ალაფიშვილი.

იურისტის თქმით, ეს შეიძლება, სასამართლოს ხარვეზად ჩაითვალოს ან სასამართლომ ეს გადაწყვეტილება პოლიტიკური მოცემულობის გამო მიიღო.

„უხეშად რომ ვთქვათ, სასამართლომ აღკვეთის ღონისძიება არ გამოიყენა, რათა საზოგადოებრივი განწყობების კვალობაზე ძალიან ცუდად არ გამოსულიყო, პროკურატურას კი მოთხოვნა დაუკმაყოფილა, მაგრამ უთხრა - ახლა, თავი შენ იტეხეო. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ იურისტს ეს ვერ დაენახა," - თქვა ალაფიშვილმა.

როგორც იგი დასძენს, გიგი უგულავასთვის თანამდებობრივი უფლებამოსილების შეჩერების შესახებ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებელია.

„შემიძლია პროკურატურას მივმართო, რომ არც კი გაივლოს თავში განმარტების მსგავი რამის გაკეთება, რადგან საქართველოში, სასამართლოს გარდა, კანონის განმარტების უფლება არავის აქვს. ეს კანონდარღვევა არ ჩაიდინოს პროკურატურამ," - შენიშნავს იურისტი.

ალაფიშვილის განმარტებით, ამ შემთხვევაში გამოსავალი შეიძლება ყოფილიყო შვებულებაში გასვლა ან ოჯახური მდგომარეობის გამო სამსახურებრივი მოვალეობის არშესრულება.

„გიგი უგულავა გადაყენებულად არ მიიჩნევა, ამას აღსრულება სჭირდება. ეს არის სამართლებრივი ჩიხი, სამართლებრივი პრობლემის შემქმნელი. სასამართლომ არ დაუკმაყოფილა პროკურატურას აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობის შეფარდების საკითხი, მერე კი ჯანდაბას თქვენი თავიო, იცოდა რა ვერ აღასრულებდნენ, აღფრთოვანებულები დატოვა. სასამართლომ პროკურატურას აღფრთოვანების საშუალება მისცა, თავსატეხი დაუტოვა და თავიდან მოიცილა," - აღნიშნა ალაფიშვილმა.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "შვა". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ღეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიმკარიანი, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ. თილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

პარლამენტმა მხოლოდ სამი მეურვე აირჩია

პირველი გვერდიდან

ომბუდსმენმა მარინა მუსხელიშვილისა და ლელა გაფრინდაშვილის კანდიდატურები დაასახელა, ხოლო უმაღლესი საბჭოდან გენო გელაძე იყო წარდგენილი.

წარდგენის უფლების მქონე სუბიექტებს კანდიდატების დასახელების უფლება იმ 27 კანდიდატურიდან ჰქონდათ, რომლებიც პარლამენტის თავმჯდომარის მიერ დაკომპლექტებულმა საკონკურსო კომისიამ შეარჩია.

პროცედურით, პირველ ეტაპზე კანდიდატის ასარჩევად საჭირო იყო, მისთვის მხარი პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტს დაეჭირა (არანაკლებ 76 პარლამენტარისა). კენჭისყრაზე სახალხო დამცველის მხოლოდ ერთი კანდიდატი მარინა მუსხელიშვილი აირჩიეს - 82 ხმით 17-ის წინააღმდეგ. ლელა გაფრინდაშვილმა 18 ხმა მიიღო, 8-ის წინააღმდეგ.

პარლამენტმა არც გენო გელაძის კანდიდატურას დაუჭირა მხარი, მან მხოლოდ 29 ხმა მიიღო, 3 წინააღმდეგ წავიდა.

ყველაზე მეტი ხმა „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დასახელებულმა ქეთი მსხილაძემ მიიღო, პარლამენტმა იგი 99 ხმით, ერთხმად აირჩია. ნინია კაკაბაძის კანდიდატურამ კი მხოლოდ 29 ხმა მიიღო, 5-ის წინააღმდეგ.

პარლამენტმა ამ ეტაპისთვის საპარლამენტო უმრავლესობის ერთადერთი კანდიდატი ნათელა სახოკია 83 ხმით, 3 წინააღმდეგ აირჩია.

კენჭისყრამდე საპარლამენტო უმცირესობამ უმრავლესობას წინადადებით მიმართა, რომ თუ საჭირო იყო ვაკანსიების ბოლომდე შევსება, საკითხის განხილვა გადადებულიყო.

პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა პროცედურები განმარტა: **„სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ამ ნორმის სხვანაირი გაგება პროცესს ჩიხში შეიყვანს. თუ პარლამენტის რამდენიმე წევრი ერთ აზრზე ვერ ჩამოყალიბდა, მაშინ მათ უნდა დავაძალოთ? ამიტომ, კანონი ამ პროცედურის გარკვეულ საფეხურებს ითვალისწინებს.“**

ფრაქცია „ქართული ოცნება - რესპუბლიკელების“ წევრ თინა ხიდაშელის თქმით, კანონში არსად წერია, რომ «საზოგადოებრივი მაუწყებლის» სამეურვეო საბჭოს დასაკომპლექტებლად პირველ ტურში იმდენივე კანდიდატი უნდა იყოს წარდგენილი, რამდენის უფლებაც წარმდგენ სუბიექტებს აქვთ.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, როგორც ხიდაშელი ამბობს, შესაბამისი სუბიექტები 10 დღის ვადაში იმ კანდიდატებს დაასახელებენ, რომლებიც მე-2 ტურში მიიღებენ მონაწილეობას. **„კანდიდატები კი იმ 27 კანდიდატიდან შეირჩევიან, რომლებმაც პარლამენტის მიერ გამოცხადებული კონკურსი გაიარეს,“** - აღნიშნავს ხიდაშელი. კანონმდებლობა ერთხელ უკვე დასახელებული კანდიდატის (რომელმაც ხმების საკმარისი რაოდენობა ვერ მოიპოვა) კვლავ წარდგენის შესაძლებლობას უშვებს.

ხიდაშელმა იმ მიზეზების შესახებაც ისაუბრა, რის გამოც უმრავლესობამ 3 კანდიდატურაზე შეთანხმება ვერ შეძლო. **„შეთანხმებისთვის სულ 24 საათი გვქონდა და უმრავლესობის ექვსივე ფრაქციაში კონსენსუსის მიღწევა, უბრალოდ, შეუძლებელი იყო. ის კანდიდატი წარმოვადგინეთ, რომლის გარშემოც კონსენსუსი შედგა,“** - თქვა ხიდაშელმა.

საპარლამენტო უმცირესობის წევრ სერგო რატიანის თქმით, „ნაციონალური მოძრაობა“ კონსულტაციისთვის ღია იყო. **„კვოტირების პრინციპს პატივს ვცემთ, ამიტომ, სრულიად გაუგებარია ის, რაც მოხდა,** - შენიშნავს რატიანი.

უმრავლესობის ლიდერ დავით საგანელიძის აზრით, კვოტა არ ნიშნავს იმას, რომ დეპუტატმა კანდიდატს ხმა თვალდახუჭულმა მისცეს.

პარლამენტში განვითარებული მოვლენებით უკმაყოფილია საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ელისო ჩაფიძე. **„როგორც საპარლამენტო უმრავლესობის, ასევე ზოგადად პარლამენტის მიმართ არასამთავრობო ორგანიზაციების კრიტიკას ვიზიარებ. ისე ეფექტიანად მუშაობა უნდა მოგვეხერხებინა, როგორც პარლამენტის თავმჯდომარის მიერ წარდგენილმა კომისიამ შეძლო. იმ საჯაროობით ვამაყობდი, რომლითაც კომისია კანდიდატურებს არჩევდა. მე, როგორც კანონპროექტის ავტორი, ვფიქრობ, რომ ხომ არ ჯობდა, სწორედ ასეთი კომისიისთვის მიგვეცა კანდიდატურების დანიშვნის ლეგიტიმაცია,“** - თქვა ელისო ჩაფიძემ.

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია

რიგგარეშე სესიის ფარგლებში პარლამენტმა ასევე დამტკიცა დადგენილება, რომელიც სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შემადგენლობას და მის დებულებას განსაზღვრავს.

საკითხის მომხსენებელი დავით უსუფაშვილი იყო, რომელიც საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარეობას შეითავსებს. უსუფაშვილის თქმით, საკონსტიტუციო კომისიის ძირითად ამოცანად დასახულია პრაქტიკულად ყველა იმ საკითხზე მსჯელობა, რომლებიც დღევანდელი მდგომარეობით აშკარად იკვეთება, როგორც დასახვეწი და გამოსასწორებელი. კომისიის ფინანსური-ტექნიკური უზრუნველყოფისთვის საჭირო თანხები პარლამენტის ხარჯებიდან გამოიყოფა.

პარლამენტის თავმჯდომარეს უმცირესობიდან ჩიორა თაქთაქიშვილმა მიმართა: **„გამოცდილება გვაჩვენებს, რომ ყოველთვის, როცა ხელისუფლება ადმიანის უფლებებს ეხებოდა, პროცესი მთავრდებოდა იმით, რომ ვითარება უარესდებოდა. იმედს გამოთქვამს, რომ ახლა ასე არ მოხდება.“**

უმცირესობის წევრი გიორგი კანდელაკი ინტერესდება, რა საჭიროა ასეთი მასშტაბური პროცესის დაწყება და კვლავ საკონსტიტუციო ჩარჩოს შემუშავება. **„არსებულ ჩარჩოში რატომ ვერ ახერხებთ თქვენი პოლიტიკური ძალის მიერ დასახური მიზნებისა და დაპირებების შესრულებას?“** - მიმართავს ხელისუფლებას კანდელაკი.

დავით უსუფაშვილმა ჩიორა თაქთაქიშვილის საპასუხოდ აღნიშნა, რომ საკონსტიტუციო კომისიის ამოცანად დასახულია არა ადამიანის უფლებების საკითხების გადახედვა, არამედ ამ მიმართულებით დღეს არსებული გარანტიების გაზრდა. **„ამ მაღალი ტრიბუნიდან ვაცხადებ, დიახ, ქალბატონო ჩიორა, გპირდებით, რომ საკონსტიტუციო კომისიაში ადამიანის უფლებების საკითხებზე მუშაობა გაუმჯობესებისკენ იქნება მიმართული და არა გაუარესებისკენ,“** - აღნიშნავს სპიკერი და განაგრძობს, - **დებულების მიხედვით, უნდა მომზადდეს კონსტიტუცია, რომლითაც გაიზრდება ადამიანის კონსტიტუციური უფლებისა და თავისუფლების გარანტიები, გაუმჯობესდება ხელისუფლების ვერტიკალური და ჰორიზონტალური გამიჯვნის და გაწონასწორების მოდელი, დაიხვეწება დამოუკიდებელი ინსტიტუტების კონსტიტუციური სტატუსი და ფუნქციები. მოწესრიგდება საკითხები, რომლებიც კონსტიტუციის რეგულირების მიღმა რჩებოდა. დამკვიდრდება კონსტიტუციის გადასინჯვის გონივრული მოდელი, რომელიც ერთნაირად უზრუნველყოფს კონსტიტუციის სტაბილურობას და მოქნილობას. ამავდროულად, აღმოიფხვრება კონსტიტუციის ტექსტის ხშირი ცვლილებებით გამოწვეული ხარვეზები და შეუსაბამობები.“**

ირინა იმერლიშვილი ბოლო ერთ თვეში განხორციელებულ შესყიდვებზე განმარტებას აკეთებს

საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანი ირინა იმერლიშვილი საბჭოს აპარატის მიერ ბოლო ერთ თვეში განხორციელებული შესყიდვების შესახებ განმარტებას აკეთებს და აცხადებს, რომ საქართველოს უშიშროების საბჭოს, როგორც საიდუმლო დოკუმენტაციაზე მომუშავე უწყებას, „მაღალი დაცულობის მქონე ტექნიკა“ სჭირდება.

„უშიშროების საბჭოს აპარატისთვის აუცილებელია მაღალი დაცულობის მქონე ტექნიკა, ვინაიდან ის მუშაობს საიდუმლო და სრულიად საიდუმლო დოკუმენტაციებზე.

ეს არის ერთგვარი დაცვის მოთხოვნაც კი. უშიშროების საბჭოს აპარატს და არა ირინა იმერლიშვილს სჭირდება სამუშაოსთვის კომუნიკაციის საშუალებები, მათ შორის კომპიუტერი, რაზეც, მგონი, არ უნდა დაისვას კითხვები. უშიშროების საბჭოს მდივანს კომპიუტერი არ დახვედრია,“ - აცხადებს ირინა იმერლიშვილი ტელეკომპანია „იმედთან“ საუბრისას.

ამასთან, იმერლიშვილი „კვირის პალიტრასთან“ ინტერვიუში იმასაც განმარტავს, რომ ტელეფონი და კომპიუტერი, რომლებიც აპარატმა შეიძინა, მისი წასვლის შემდეგაც უწყებაში დარჩება.

„საუბარია ერთ ტელეფონზე, რომელიც არის უშიშროების საბჭოსი და არა პირადი, ისევე როგორც კომპიუტერი, რომელიც, სამწუხაროდ, არ დამხვდა, როცა ახალ სამსახურში მივედი. მგონი, ყველა დამეთანხმება, რომ აუცილებელია კომპიუტერი, რომელიც ასევე უშიშროების საბჭოს საკუთრებაა და არა ჩემი. როცა წავალ აქედან, ნამდვილად დარჩება ახალ მდივანს ტელეფონიც, კომპიუტერიც და ავტომობილიც, რომელიც სავსებით შესაძლებელია, თვითონაც ჩაანაცვლოს, თუ ამის საჭიროება იქნება,“ - აღნიშნავს იმერლიშვილი.

რაც შეეხება აპარატის მიერ შეძენილ ახალ ავტომობილს, უშიშროების საბჭოს მდივნის განმარტებით, მისი წინამორბედის ავტომანქანა ზუსტად იმავე ფირმის და მოდელის ავტომობილით ჩანაცვლდა.

„არაფრის დამატება არ მომხდარა, ერთი ავტომანქანა მეორეთი ჩანაცვლდა. დიახ, იყო ძველი მანქანა. უშიშროების საბჭოს მდივანს ემსახურებოდა საკმაოდ მოძველებული, რამდენიმე წლის მანქანა, სადაც დაცვის წარმომადგენლებს მთელი რიგი პროცედურები ჰქონდათ ჩატარებული. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ეს არ არის პირადი, ეს არის უშიშროების საბჭოს მდივნის (რომელიც საკმაოდ მაღალი თანამდებობაა) საკუთრება. არ მინდა, დეტალებში ჩაძიება, მაგრამ ბოკერიას მანქანა სიგარეტის სუნით იყო გაჟღენთილი. ბოკერიას ჰყავდა სახელმწიფო დაცვა, რომელიც, როგორც ჩანს, თავის სტანდარტებს ითვალისწინებდა და სკამები ჰქონდათ შედუღაბებული. მე კი დაცვაზე უარი ვთქვი და ამით სახელმწიფოს საკმაოდ დიდი შეღავათი გავუწიე, აგრეთვე, მე მყავდა ორი მძღოლი და მხოლოდ ერთი დავიტოვე, რადგან ორი ზედმეტი იყო და ზუსტად ყოველივე აქედან გამომდინარე გახდა საჭირო ავტომანქანის გამოცვლა. ეს სამსახურებრივი ავტომანქანაა, რომელიც უშიშროების საბჭოში დარჩება. ასევეა მობილურიც და კომპიუტერიც, რომელიც აუცილებლად სჭირდება უშიშროების საბჭოს მდივანს. ეს ნივთებიც დარჩება საბჭოში. ამიტომ მათ შეძენაში ვერავითარ პრობლემას ვერ ვხედავ,“ - განმარტავს უშიშროების საბჭოს მდივანი.

8 იანვარს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ვიდეოპაემანი უფასო იქნება

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრ სოზარ სუბარის ინიციატივით, 8 იანვარს, შობის დღესასწაულთან დაკავშირებით, მოქალაქეები ვიდეოპაემნის სერვისით უფასოდ ისარგებლებენ.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს პრესსამსახურიდან აცნობეს.

მათი ინფორმაციით, თბილისის, ქუთაისის, თელავის, ახალციხის, ბათუმისა და გორის პრობაციის ოფისებში ვიდეოპაემანზე მისული მოქალაქეები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში (ქალთა # 5 დაწესებულება, არასრულწლოვანთა #11 სპეციალური დაწესებულება, ქსნის #15 დაწესებულება, რუსთავის #17 დაწესებულება) მყოფ ახლობლებს გადასახადის გარეშე დაუკავშირდებიან.

მოქმედი კანონმდებლობით, ვიდეოპამნით სარგებლობა, მსჯავრდებულის თანხმობის შემთხვევაში, შეუძლია ნებისმიერ მოქალაქეს. სერვისის ხანგრძლივობა 15 წუთია. ვიდეოპაემნის სურვილის შემთხვევაში, მოქალაქეებმა პრობაციის ბიუროებში წინასწარ უნდა შეავსონ განაცხადი.

საომარი მოქმედებების შემსწავლელი კომისიის მუშაობის პირველი შედეგები, სავარაუდოდ, გაზაფხულისთვის გახდება ცნობილი

საქართველოს თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას ინფორმაციით, ამ დროისთვის შესწავლილია კოდორის თემა, 2008 წლის პერიოდი და მასალების ღია ნაწილი საზოგადოებას, სავარაუდოდ, გაზაფხულზე ეცნობება.

ამასთან, როგორც საქართველოს შეიარაღებული ძლების გენერალური შტაბის უფროსმა, კომისიის ხელმძღვანელმა, ვახტანგ კაპანაძემ აღნიშნა, კომისიის მუშაობის ფარგლებში უკვე ჩატარებულია 700-ზე მეტი ინტერვიუ და გამოკითხვა.

„გვინდა, რომ სწორი შედეგი დავდოთ. ეს დროს მოითხოვს. დღეისთვის 700-ზე მეტი ინტერვიუ და გამოკითხვა გვაქვს. ამ დოკუმენტების დამუშავება მიმდინარეობს. სავარაუდოდ, მომავალი წლის გაზაფხულიდან შესაძლებელი იქნება მასალების პირველადი შედეგების გამოქვეყნება,“ - განაცხადა ვახტანგ კაპანაძემ.

ლევან გახელაძე: „სამოქალაქო სექტორმა მორიგი ალიყური მიიღო“

პირველი გვერდიდან

„ცხადია, რომ შეუძლებელია, ახალი ბორდი პოლიტიზებული არ იყოს. ამაზე პარლამენტის გადაწყვეტილება მიუთითებს. თავიდანვე, როდესაც პოლიტიკურ ძალებს კანონის საფუძველზე ეძლევათ საშუალება, თვითონ დაასახელონ სასურველი კანდიდატები, ბუნებრივია, პროცესი პოლიტიზებული იქნება.

ზვიად ქორიძე და კომისიის სხვა წევრები თავად არიან ამ კანონპროექტის ავტორები, რომლის მიხედვითაც, პოლიტიკურ ძალებს თავიანთი სასურველი კანდიდატის განსაზღვრის უფლება მიენიჭათ. ამიტომ გაუგებარია, ახლა რატომ გამოხატავენ უკმაყოფილებას,“ -შენიშნავს გახელაძე.

მისივე თქმით, გუშინდელი კენჭისყრის შედეგები საპარლამენტო უმრავლესობის მხრიდან სამოქალაქო სექტორისთვის ალიყურის გაწნას ნიშნავს.

„პრეტენზიები შეიძლება, „ნაციონალურ მოძრაობასთანაც იყოს, თუმცა გაცილებით ნაკლები, ვიდრე „ქართულ ოცნებასთან“. მინდა, აღვნიშო ის ფაქტი, რომ ეს კანონი „ნაციონალური მოძრაობისთვის“ იყო მიუღებელი. შეგახსენებთ - ივნისში მას პრეზიდენტმა დაადო ვეტო, ნოემბერში, ცვლილებების შეტანის დროს, „ნაციონალურ მოძრაობას“ ბოიკოტი ჰქონდა გამოცხადებული და კანონპროექტის განხილვაში მონაწილეობა არ მიუღია.

მიუხედავად ამისა, „ნაციონალებმა“ მაინც ორი კანდიდატი წარადგინეს. „ქართულმა ოცნებამ“ კი, რომელიც ამბობდა, რომ აღნიშნული კანონი ქვეყანაში დემოკრატიის აშენების საძირკველი იქნებოდა, ერთი კანდიდატი წარადგინა. გუშინდელ კენჭისყრაზე გაირკვა, რომ „ქართული ოცნებისთვის“ მიუღებელია მეტ-ნაკლებად ლიბერალური განწყობის და მეტ-ნაკლებად დამოუკიდებლობის მქონე კანდიდატები, როგორებიც არიან ლელა გაფრინდაშვილი და გენადი გელაძე.

ამასთან, „ქართულმა ოცნებამ“ სრულიად გაუგებარი მიზეზით დაბლოკა ოპოზიციის მიერ წარდგენილი კანდიდატი ნინია კაკაბაძე, რომელიც, შესაძლოა, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ წარადგინა, მაგრამ ნინია კაკაბაძის ბექგრაუნდი არნაიარად არ იძლეოდა იმის საფუძველს, რომ იგი „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ რაიმე სიმპათიებში ყოფილიყო შემჩნეული.

მოკლედ, მივიღეთ ის, რაც მივიღეთ - სამოქალაქო სექტორმა მორიგი ალიყური მიიღო. ეს ის სამოქალაქო სექტორია, რომელიც ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში აქტიურად მხარს უჭერდა და „აპრავებდა“ ახლანდელ მმართველ გუნდს,“ - აღნიშნა ლევან გახელაძემ.

ობამამ 2014 წლის ბიუჯეტის პროექტს ხელი მოაწერა

ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ბიუჯეტის კომპრომისულ პროექტს ხელი მოაწერა, რასაც წინ უძღოდა «რესპუბლიკელებსა» და «დემოკრატებს» შორის გამართული მოლაპარაკებები. მიღწეული შეთანხმება შესაძლებლობას იძლევა, 2014 წლის იანვარში სახელმწიფო დაწესებულებების მუშაობა აღარ შეჩერდეს, როგორც ეს რამდენიმე თვის წინ მოხდა. ბიუჯეტის შესახებ შეთანხმება პარტიათაშორისმა კომისიამ მოამზადა, რომელმაც მუშაობა საბიუჯეტო კრიზისის შემდეგ დაიწყო. საბიუჯეტო კრიზისის გამო ოქტომბერში სახელმწიფო დაწესებულებების ნაწილმა 16 დღის განმავლობაში შეწყვიტა მუშაობა.

ღაზას სექტორიდან ისრაელის მიმართულებით ორი რაკეტა გაუშვეს

„როიტერის“ ინფორმაციით, ღაზას სექტორიდან პალესტინელმა შეიარაღებულმა მებრძოლებმა ისრაელის მიმართულებით ორი რაკეტა ისროლეს, რასაც ისრაელის საპასუხო იერიში მოჰყვა. ისრაელის სამხედროების თქმით, ღაზას სექტორიდან გაშვებული რაკეტა ღია ადგილზე დაეცა და მსხვერპლი არ გამოუწვევია. ისრაელის მხრემ კი დარტყმა იარაღის საწყობზე განახორციელა, რომელსაც ისლამისტური დაჯგუფება „ჰამასი“ აკონტროლებს. საჰაერო დარტყმის შედეგად ერთი პალესტინელი დაშავდა. რამდენიმე დღის წინ ღაზას სექტორიდან სნაიპერმა ისრაელის ერთი მოქალაქე მოკლა. ამის შემდეგ ისრაელის მხარემ „ჰამასის“ საწვრთნელ ბანაკებზე იერიში მიიტანა, რასაც ერთი პალესტინელი ბავშვი ემსხვერპლა.

ეგვიპტეში „მუსლიმი ძმების“ ათობით მხარდამჭერი დააკავეს

ორი დღის წინ ეგვიპტის სასამართლომ პანარაბული მოძრაობა „მუსლიმი ძმები“ ტერორისტულ დაჯგუფებად გამოაცხადა, რასაც ამ მოძრაობის ათობით მხარდამჭერის დაპატიმრება მოჰყვა. კაიროში დემონსტანტებსა და პოლიციას შორის დაპირისპირებას ერთი ადამიანი ემსხვერპლა. „როიტერის“ ინფორმაციით, ოთხშაბათს კაიროს გარეუბანში ბომბის აფეთქების შედეგად ხუთი ადამიანი დაშავდა. სამშაბათს კი მანსურში მომხდარ აფეთქებას 16 ადამიანი ემსხვერპლა. ქვეყნის არმიის ხელმძღვანელ აბდელ ფატაჰ ალ-სისის განცხადებით, ეგვიპტე ტერორიზმს არ შეეგუება. ცნობისათვის - ამ გენერლის მეთაურობით გადააყენეს გასულ ივლისში მოქმედი პრეზიდენტი მოჰამედ მურსი.

ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრ ნაბილ ფაჰმის დაურეკა და შეშფოთება გამოთქვა „მუსლიმი ძმების“ ტერორისტულ ორგანიზაციად გამოცხადებისა და ეგვიპტეში მიმდინარე დაპატიმრებების გამო. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელ ჯენიფერ ფსაკის განცხადებით, ჯონ კერიმ ეგვიპტეში განხორციელებული თავდასხმებიც დაგმო.

ბეირუთის ცენტრში ძლიერი აფეთქება მოხდა

„ბი-ბი-სი“-ს ცნობით, პარასკევს ლიბანის დედაქალაქის ცენტრში, სამთავრობო კვარტალთან ახლოს, ძლიერი აფეთქება მოხდა. ჯერ უცნობია აფეთქების მიზეზი. „როიტერის“ ინფორმაციით, აფეთქებას, სულ მცირე, 5 ადამიანი ემსხვერპლა. ერთი თვის წინ ბეირუთში ირანის საელჩოსთან მომხდარ აფეთქებას ოცი ადამიანი შეეწირა. მოძრაობა „ჰეზბოლამ“ ამ აფეთქებაში საუდის არაბეთი დააადანაშაულა. ლიბანური სააგენტოს ინფორმაციით, აფეთქებისას დაიღუპა ქვეყნის ყოფილი ფინანსთა მინისტრი და ყოფილი ელჩი აშშ-ში მოჰამედ კატაჰი. ტერაქტზე პასუხისმგებლობა ჯერ არც ერთ დაჯგუფებას არ აუღია.

ბრიუსელში უცხოელი დიპლომატები „პარკინგის“ ჯარიმებს არ იხდიან

«დეილი ტელეგრაფის» ინფორმაციით, ბრიუსელში უცხოელი დიპლომატები „პარკინგის“ ჯარიმების გახადაზე უარს ამბობენ. ქალაქში, რომელიც ევროკავშირს, ნატოს და მსოფლიოში ყველაზე მეტ დიპლომატიურ მისიას მასპინძლობს, ელჩებმა სამი წლის განმავლობაში დაგროვილი 971 ჯარიმის გადახდაზე თქვეს უარი. ყველაზე „ცუდ გადამხდელებად“ გერმანიის, საბერძნეთის, უნგრეთის, მალტის და კვიპროსის წარმომადგენლები მიიჩნიეს. EUobserver-ის ინფორმაციით, ბელგიის საგარეო საქმეთა სამინისტრო, სავარაუდოდ, წესებს გაამკაცრებს.

2030 წელს ევროპაში ყველაზე მძლავრი ეკონომიკა დიდ ბრიტანეთს ექნება

ლონდონში არსებული ეკონომიკური კვლევების ცენტრის (CEBR) მიხედვით, 2030 წელს ევროპის ყველაზე დიდი ეკონომიკის სტატუსს გერმანია დიდ ბრიტანეთს დაუთმობს. ცენტრის მკვლევარები დიდი ბრიტანეთის ეკონომიკის ზრდის მიზეზებად მოსახლეობის ზრდას და ევროპის კონტინენტთან ვაჭრობაზე ნაკლებად დამოკიდებულებას ასახელებენ. ამ ცენტრის საერთაშორისო ეკონომიკის ყოველწლიურ მიმოხილვაში საუბარია, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობით ჩინეთი ამერიკას გაასწრებს და მსოფლიოს უმსხვილესი ეკონომიკა 2028 წელს გახდება.

მოამზადა თამთა კახაძემ

ნიკოლაი აზაროვი: რაც არ მოგვცა საერთაშორისო სავალუტო ფონდმა, მოგვცა რუსეთმა

უკრაინის პრემიერ-მინისტრი ნიკოლაი აზაროვი კი მიიჩნევს, რომ საბოლოოდ ყველაფერი კარგად დამთავრდა. რუსეთის მიერ გამოყოფილმა კრედიტმა უკრაინას მისცა ის, „რაც არ მოგვცა საერთაშორისო სავალუტო ფონდმა“.

ტატიანა ჩორნოვოლის უმოწყალოდ ცემის ფაქტზე აგორებული სკანდალი ნელ-ნელა ძალას იკრებს. ნიკოლაი ჩიჩიკინმა განაცხადა, რომ დაკავებულია მეხუთე ეჭვმიტანილი, რომელიც, წინასწარი ინფორმაციით, უშუალო შემსრულებელია. „მინდა აღვნიშნო, რომ გამოძიების მთავარი ამოცანა ამ დანაშაულის შემკვეთების დადგენაა“. ტატიანა ჩორნოვოლს სასტიკად სცემეს 25 დეკემბრის ღამეს კიევის მახლობლად, ბორისპოლთან, რაზეც უკვე წერდა „24 საათი“. გუშინდლამდე სამართალდამცავებს უკვე დაკავებული ჰყავდათ ოთხი ეჭვმიტანილი. დამოუკიდებლობის მოედანზე მიმდინარე აქციის მონაწილეების ნაწილმა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან გადაინაცვლა და სამინისტროს შენობის წინ პიკეტი მოაწყო.

მასობრივი გამოსვლების მიუხედავად, უკრაინის ხელისუფლება, როგორც ჩანს, მიიჩნევს, რომ მისი საქმე ჯერჯერობით კარგად მიდის. თუმცა პრემიერ ნიკოლაი აზაროვის განცხადებით, საპროტესტო აქციები ხელს უშლის ეკონომიკის განვითარებას და აზარალებს პოლიტიკურ სტაბილურობას. უკრაინული მედიისთვის გამართულ პრესკონფერენციაზე აზაროვმა თქვა, რომ რუსეთის მიერ კრედიტის სახით გამოყოფილი 15 მილიარდი დოლარი „საშუალებას გვაძლევს, ოპტიმისტურად ვუყურო 2014 წელს“. „კრედიტმა უზრუნველყო სავალუტო რეზერვების სიმყარე, ჩვენთვის გაიხსნა ფინანსური კრედიტების ბაზარი, მივიღეთ საკუთარი ეკონომიკისთვის კრედიტების მიცემის და ამ კრედიტების პროცენტების დაწევის საშუალება. ჩვენთვის გაიხსნა საგარეო ფინანსური ბაზრებიც.» „ის, რაც არ მოგვცა საერთაშორისო სავალუტო ფონდმა, მოგვცა რუსეთმა“. თუმცა ამით არ ამოიწურება აზაროვის წინააღმდეგობრივი განცხადებები. მან აღიარა, რომ თავად რუსი მინისტრების ადგილზე უკრაინას კრედიტს არ მისცემდა, რადგან ეს უკრაინისთვის უაღრესად შეღავათიანი პირობებით მიცემული სესხია. მან ფრჩხილებიც გახსნა და რუსეთის ვიცე-პრემიერ იგორ შუვალოვის სიტყვები მოიყვანა, რომლის თანახმადაც, ყველა მინისტრი და მრჩეველი უკრაინისთვის კრედიტის მიცემის წინააღმდეგი იყო, პრემიერ-მინისტრ დმიტრი მედვედევის გარდა. «ასე სწრაფად მოცემულმა 5-პროცენტიანმა სესხმა ჩვენ სიტუაციის გადარჩენის საშუალება მოგვცა,» - დასძინა პრემიერმა.

ევროკავშირთან ინტეგრაციის საკითხზე საუბრისას კი აზაროვმა ისევ წამოაყენა სამმხრივ ფორმატში მოლაპარაკებების გამართვის საჭიროება. მან კვლავ გაიმეორა, რომ ამაზე უკვე თანახმაა რუსეთი და ახლა ევროკავშირის საბოლოო პასუხს ელოდებიან (აქამდე ამას ევროკავშირი კატეგორიულად არ თანხმდებოდა). აზაროვმა გაიმეორა რუსული პოზიცია, რომლის მიხედვითაც, ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება პრობლემებს შეუქმის საბაჟო კავშირის წევრ სახელმწიფოებს და მათი იგნორირება არ შეიძლება.

პრემიერმა ევროკავშირის მიმართ პრეტენზიაც გამოთქვა. მისი სიტყვებით, ასოცირების შესახებ ხელშეკრულებაში, უკრაინის თხოვნის მიუხედავად, არ ჩაწერეს, რომ ეს ორგანიზაცია უკრაინას თავის რიგებში ეპატიჟება. მან ისევ გაიმეორა, რომ უკრაინა ხელს მოაწერს ასოცირების ხელშეკრულებას, თუ ქვეყანას შესაძლო დანაკარგების კომპენსაციის მექანიზმს შესთავაზებენ. აზაროვის თქმით, ევროკავშირი თავის ბაზარს საბაჟო პროცედურებით სამჯერ უფრო ძლიერად იცავს, ვიდრე უკრაინა. როგორც პრემიერი აღნიშნავს, ისიც საკითხავია, რითი გავა

ტოლოკონიკოვა და ალიოხინა უფლებადამცავ ფონდს ქმნიან

ივა შილაკაძე

პარასკევს შეპირებული პრესკონფერენცია გამართეს სკანდალური პანკ-ჯგუფის Pussy Riot-ის აწ უკვე ყოფილმა წევრებმა, ნადეჟდა ტოლოკონიკოვამ და მარია ალიოხინამ, რომლებიც კოლონიებიდან ამნისტიის საფუძველზე ორშაბათს გამოუშვეს.

მათ განაცხადეს, რომ რუსეთის დატოვებას არ აპირებენ და ადამიანის უფლებების დასაცავად ბრძოლას გააგრძელებენ. უფრო კონკრეტულად კი, ისინი პატიმრების უფლებებსა და ციხეებში არსებულ გაუსაძლის მდგომარეობაზე აპირებენ კონცენტრირებას.

მათ აღნიშნეს, რომ ამჟამინდელი, პუტინის რუსეთის ტრაგედიად მიაჩნიათ ის მდგომარეობა, როდესაც არ არის რაღაცის თქმის საშუალება და მით უფრო ძნელია, რომ შენი ნათქვამი ვინმემ ყურად იღოს. «ეს არის თაობის ტრაგედია, რომელსაც რაღაცის თქმა უნდა, მაგრამ არ შეუძლია, ხშირად კი, უბრალოდ, ეშინია. ძალიან ხშირად მათი შიში გამართლებულია.“

მათ განაცხადეს, რომ Pussy Riot-ის აქციებში მონაწილეობას აღარ აპირებენ და ადამიანის უფლებების დაცვით დაკავდებიან. «გაირკვა, რომ ამდენი ადამიანი ელოდებოდა ჩვენს გააქტიურებას და ჩვენ ვალდებულნი ვართ, მათი იმედები გავამართლოთ... ადამიანებს წარმოდგენაც არ აქვთ, რა ხდება კოლონიებში. ყველაზე ცუდი ის არის, რომ უმრავლესობას ეს არც აინტერესებს,“ - თქვა ალიოხინამ.

ადამინის უფლებათა დამცავი ფონდი, სახელით «სამართლის ზონა“, თანხებს მოიძიებს კერძო შემოწირულობებით ე.წ. «კრაუდფანდინგის“ მეთოდით. ხოლო იმ პირების რიცხვში, რომლებიც ფულის ხაჯვას გააკონტროლებენ, ალექსეი ნავალნიც შევა. ფინანსური დახმარების თხოვნით ტოლოკონიკოვა და ალიოხინა კერძო პირებს არ მიმართავენ, მათ შორის არც მიხაილ ხოდორკოვსკის. ისინი არ აპირებენ აგრეთვე თავიანთ საქმიანობაში ბრენდ Pussy Riot-ის გამოყენებას. ფონდის დანიშნულება იქნება ბრძოლა რუსეთის ყველა რეგიონის პატიმართა საჩივრებზე ხელისუფლების სათანადო რეაგირების მისაღწევად. ძირითადი ყურადღება იმ საჩივრების მხარდაჭერაზე გამახვილდება, რომლებიც ციხეებში ცხოვრებისა და შრომის პირობებს, ასევე პატიმრების მიმართ ძალადობას ან მუქარას ეხება.

მათ ვრცლად ილაპარაკეს ციხეებში არსებულ სავალალო მდგომარეობაზე და აღნიშნეს ამ სტრუქტურის მეტი გამჭვირვალობის აუცილებლობა, რათა დაცული იყოს საერთაშორის კონვენციებით გათვალისწინებული პირობები.

საკუთარ თავზე და დაკავებაზე საუბრისას ტოლოკონიკოვამ და ალიოხინამ თქვეს, რომ ამაში მნიშვნელოვანი როლი პრეზიდენტმა პუტინმა შეასრულა, რომელიც თავის თავში განასახიერებს რუსეთის პოლიტიკურ სისტემას. მათ დაადასტურეს, რომ ისევ სურთ პუტინის გაგდება, რასაც ეკლესიაში გამართული ბოლო აქცია მიუძღვნეს და რის გამოც ციხეში ჩაჯდომა მოუწიათ. ტოლოკონიკოვამ და ალიოხინამ არ გამორიცხეს, რომ მათ ბედში გარკვეული როლი რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამაც შეასრულა, თუმცა ისინი კვლავაც მზად არიან ეკლესიასთან დიალოგისთვის, ისევე როგორც ამას სასამართლო პროცესის დროს აცხადებდნენ. პანკ-ჯგუფის ყოფილი წევრებისთვის გაუგებარია, რატომ არ მოინდომეს მათთან დალაპარაკება ეკლესიის წარმომადგენლებმა. ციხიდან გათავისუფლებისთვის კი უმთავრესად საზოგადოების იმ ნაწილის მადლობელნი არიან, ვინც ამას თანმიმდევრულად მოითხოვდა და არა პუტინის ან სახელმწიფო დუმის. ისიც აღნიშნეს, რომ მათი აზრით, გარკვეული როლი სოჭის ოლიმპიადის მოახლოებამაც შეასრულა და ამ ღონისძიების შემდეგ შესაძლოა, რეპრესიები გაძლიერდეს.

ჯეიკ ლამოტა vs როკი ბალბოა

პირველი გვერდიდან

ამ და სხვა ფილმებზე ოდნავ ქვემოთ, მანამდე კი „ჰობიტზე“ ვისაუბროთ.

თუ ჯერ „სმაუგის ნაოხარი“ არ გინახავთ, ესე იგი, არც გნომების ბედი გაღელვებთ, არც ოქროში მობანავე დრაკონი გაინტერესებთ და არც ის გედარდებათ, თუ რა გზას გადის ბეჭედი, ვიდრე მრავალი წლის შემდეგ მის გასანადგურებლად ფროდო ბეგინსი მორდორისკენ გაეშურება. არსებობს კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც შეიძლება ეს ფილმი ნანახი არ გქონდეთ - თუ ტოლკინის სამყაროზე ავადმყოფურად ხართ შეყვარებული და არანაირი სურვილი არ გაქვთ, ვიღაც პიტერ ჯეკსონმა თქვენს წარმოსახვაში არსებული ზღაპრული სამყარო დაანგრიოს. ნაწილობრივ ასეცაა - ჯეკსონი მართლაც ანგრევს პირველად წარმოდგენას და „ჰობიტის“ საკუთარ ვერსიას გვთავაზობს, რისი უფლებაც, რეალურად, ყველაზე მეტად სწორედ მას გააჩნია. გარდა ამისა, ნებისმიერ კინორეჟისორს აქვს ლიტერატურული პირველწყაროს ადაპტაციის უფლება, მით უფრო, თუ ადაპტაციის პროცესში იმდენად არ გაერთობა, რომ მაყურებელს სულ სხვა ისტორია შესთვაზოს. ახალ ფილმში ასე ნამდვილად არ ხდება, მიუხედავად იმისა, რომ რეჟისორს დამატებითი პერსონაჟები და ახალი სთორილაინებიც შემოაქვს (მაგალითად, ელფი ტაურიელის, ლეგოლასისა და გნომი კილის სასიყვარულო სამკუთხედი). მეორე მხრივ, ახალი პერსონაჟები ჯეკსონს სცენარის გაზრდისა და, შესაბამისად, ორის ნაცვლად სამი ფილმის გადაღების საშუალებას აძლევს, რაც დამატებით მილიონებსაც ნიშნავს.

ნებისმიერ შემთხვევაში, პიტერ ჯეკსონი საუკეთესო სანახაობას გვთავაზობს. მართალია, „სმაუგის ნაოხარი“ ტრილოგიის პირველ ნაწილს ვერ ჯობს, ის მაინც ასრულებს დამაგვირგვინებელი ფილმის თიზერის ფუნქციას, რასაც ემატება საოცარი სცენა კასრებითა და ბენედიქტ ქამბერბაჩის მიერ ამეტყველებული ძალიან შთამბეჭდავი სმაუგი.

2 იანვარს კი 2014 წლის გაქირავების სეზონი დაიწყება, რომლის პირველი ფილმიც „47 რონინი“ იქნება. ეს გახლავთ დებიუტანტ კარლ რინშის ნამუშევარი კინუ რივზით მთავარ როლში, რომელშიც პატრონის გარეშე დარჩენილი 47 სამურაის ლეგენდაა გაცოცხლებული. ლეგენდის თანახმად სამურაებმა ბატონის მკვლელობისთვის შურისძიების ფიცი დადეს, ხოლო დამნაშავესთან მისაახლოებლად დიდი ხნის განმავლობაში მოკრძალებულად ცხოვრობენ - ზოგი ვაჭრად მუშაობს, ზოგი მჭედელი ან ბერია და ასე შემდეგ. კინუ რივზი ბრიტანელი მეზღვაურისა და იაპონელი ქალის შვილს თამაშობს, რომელიც არა მარტო რონინების რიგებში ერთიანდება, არამედ მათ ლიდერადაც იქცევა. ჩვენ უკვე ნანახი გვაქვს კინუ რივზის აღმოსავლური ორთაბრძოლა („მატრიცაში“), ახლა კი შეგვეძლება მისი კატანას ფლობაც შევაფასოთ.

16 იანვარს „პარანორმალური აქტივობის“ მორიგი ნაწილი (Paranormal Activity: The Marked Ones) გამოდის. ვისაც საშინელებათა ჟანრის ფილმები მოგწონთ, ალბათ ამ ფილმსაც არ გამოტოვებთ, მით უფრო რომ, როგორც ამბობენ, ეს ფრენჩაიზის ყველაზე საშიში ნაწილია.

„უოლტერ მიტის საიდუმლო ცხოვრება“ - ასე ჰქვია ფილმს, რომლის შესახებაც შესავალში ვწერდით (1947 წელს გადაღებული ამავე სახელწოდების ფილმის რიმეიქი 23 იანვარს გამოვა). ფილმის რეჟისორი ბენ სტილერია და მთავარ როლსაც თავად ასრულებს. უოლტერ მიტი ჟურნალ LIFE-ს ჩვეულებრივი, ყველასგან შეუმჩნეველი თანამშრომელია, რომელიც ერთადერთზე ოცნებობს - თავს დიდი თავგადასავალი გადახდეს. მალე მიტის ოცნება რეალობად იქცევა, თუმცა ეს სულ სხვა რეალობაა - თითქმის ისეთი, როგორც შეიძლება დრაკონებიანი და მაგებიანი სამყარო იყოს.

ამავე დღეს გამოვა „გადამწყვეტი შერკინება“ (ორიგინალში Grudge Match) - ფილმი, რომელსაც გადაღების დროს ქილკიკი და უკმაყოფილება არ მოჰკლებია, საბოლოო შედეგი კი საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა. „შერკინებას“ ორი პერსონაჟი ჰყავს - რობერტ დე ნიროსა და სილვესტერ სტალონეს მოკრივე გმირები, რომლებიც ერთმანეთს 30 წლის შემდეგ კიდევ ერთხელ ხვდებიან იმისთვის, რომ ვიდეოთამაშის სიმულატორის შექმნაში მიიღონ მონაწილეობა. აღსანიშნავია, რომ კრივზე ფილმი ორივე მსახიობის კარიერაშია - რობერტ დე ნიროს მარტინ სკორსეზეს „ცოფიან ხარში“ თამაშისთვის „ოსკარიც“ აქვს მოპოვებული, სტალონე კი „როკით“ გახდა ვარსკვლავი და მისი სცენარისა და მთავარი როლის შესრულებისთვის იყო ნომინირებული.

30 იანვარს გაქირავებაში ნიკოლაი გოგოლის „ვიის“ თანამედროვე ეკრანიზაცია გამოვა, ხოლო პატარა მაყურებელს ანიმაციური „ტარზანი“ ელის.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა - 2013 წლის ანგარიში

გუშნ საღამოს თბილისის ისტორიის მუზეუმ ქარვასლაში“ კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, მარინე მიზანდარმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის 2013 წლის ანგარიში სპეციალისტებთან ერთად წარუდგინა საზოგადოებას.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციის მიზნით, რამდენიმე წელია აქტიურად მუშაობს, რომლის შედეგად წელს ქვევრის ღვინის დაყენების უძველეს ქართულ ტრადიციულ მეთოდს“ იუნესკომ მსოფლიო არამატერიალური მემკვიდრეობის სტატუსი მიანიჭა.

ქარვასლაში“ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის 2013 წლის სამუშაო ანგარიშის პრეზენტაცია და წინასაახალწლო შეხვედრაზე მოწვეულნი იყვნენ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სფეროს განვითარების პროცესში მონაწილე სპეციალისტები.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების მიზნით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ მუშაობა დაასრულა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კანონპროექტზე. პარალელურად, უკვე დაგეგმილია სპეციალური ღონისძიებების ციკლი, რომელიც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და გადარჩენისთვის, პროფესიული წრეების გარდა, სფეროში ფართო საზოგადოების მაქსიმალურ ჩართულობას და მონაწილეობას გულისხმობს.

24 საათი

სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია"

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

1. აუქციონის საგანი:

სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია" (შემდგომში კორპორაცია) აცხადებს აუქციონს გაზის გაყიდვაზე და აუქციონში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

2. სარეალიზაციო ქონების დასახელება:

სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია" პოტენციურ მყიდველს სთავაზობს საქართველოში, ნინოწმინდის საბადოდან მოპოვებულ, ხელმისაწვდომ გაზს ჯამში 2 000 000 (ორი მილიონ) მ3 მოცულობით.

3. მიწოდების პირობები:

გაზის მიწოდება განხორციელდება ნინოწმინდის სათაო ნაგებობაზე (სოფელი პატარძეული)Aარსებულ საზომ პუნქტში, აუქციონში გამარჯვებულთან შესაბამისი გაზის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 000 000 (ორი მილიონი) მ3 ხელმისაწვდომი გაზის სრულ მიწოდებამდე.

ხელშეკრულება წარმოადგენს ამ განცხადების განუყოფელ ნაწილს, რომლის პირობებთან თანხმობას აუქციონში მონაწილეობის მსურველი პირი ადასტურებს განაცხადის წარდგენით. აუქციონში გამარჯვებულს ეკისრება ვალდებულება ხელშეკრულება გააფორმოს კორპორაციის მიერ განსაზღვრული პირობებით ან კორპორაციის მიერ განსაზღვრულ პირობებთან არსებითად იდენტური პირობებით.

4. აუქციონში მონაწილეობის პირობები და გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები:

4.1 აუქციონში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია კორპორაციის საბანკო ანგარიშზე (მითითებულია ქვემოთ) ჩარიცხოს 50 (ორმოცდაათი) ლარი აუქციონში მონაწილეობის ბილეთის შესაძენად.

4.2. აუქციონის მონაწილეებს შორის ვაჭრობა გაიმართება 1 000 (ათას) მ3 გაზზე კორპორაციის მიერ წარმოდგენილი საწყისი ფასის (დღგ-ს გარეშე) 320 (სამასოცი) აშშ დოლარის მიმართ სავაჭრო 5 (ხუთი) აშშ დოლარის ბიჯით გაზრდით.

4.3 აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება აუქციონში მონაწილე, რომელიც 1 000 (ათასი) მ3 გაზის შესაძენად კორპორაციას შესთავაზებს სხვა მონაწილეებთან შედარებით მეტ ფასს.

4.4.აუქციონი გამოცხადდება არშემდგარად, თუ (ა) არ იქნება წარმოდგენილი არც ერთი განაცხადი, ან (ბ) განაცხადის წარმომდგენი არც ერთი პირის მიერ აუქციონში მონაწილეობისათვის წარმოდგენილი საბუთები არ დააკმაყოფილებს ამ განცხადების მოთხოვნებს, ან (გ) არც ერთი პირი, რომელმაც წარმოადგინა განაცხადი, არ გამოცხადდება სააუქციონო ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად, ან (დ) განაცხადის წარმომდგენი არც ერთი პირი არ მიიღებს მონაწილეობას სააუქციონო ვაჭრობაში.

5. განაცხადის წარმოდგენის და აუქციონის ჩატარების ვადები:

5.1 აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, კორპორაციაში მონაწილეობის ბილეთის ღირებულების გადახდის დამადასტურებელი საბუთი, აუქციონის პირობებზე თანხმობა და მე-6 მუხლში მითითებული დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს 2014 წლის 27 იანვარს 1600 საათამდე.

5.2 მსურველებმა განაცხადი აუქციონში მონაწილეობისათვის უნდა წარმოადგინონ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ს/ი 0190, კახეთის გზატკეცილი N21, სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია". ტელ: 224 40 40.

5.3 აუქციონი ჩატარდება 2014 წლის 27 იანვარს 1700 საათზე, სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის" ადმინისტრაციულ შენობაში (ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი N21). აუქციონში მონაწილე პირს თან უნდა ქონდეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

6. სხვა დოკუმენტაცია და ინფორმაცია, რომელიც უნდა წარმოადგინოს პრეტენდენტმა განაცხადთან ერთად:

6.1 ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან. თუ აუქციონში მონაწილე არ არის საქართველოს რეზიდენტი, წარმოდგენილი უნდა იქნეს სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერის ექვივალენტური საბუთი ან წერილი/სერტიფიკატი არარეზიდენტის სამართლებრივი და ფინანსური მდგომარეობის შესახებ (Letter/Certificate of Good Standing), გაცემული დაფუძნების ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ, რომელშიც სხვა მონაცემებთან ერთად მითითებული უნდა იქნას არარეზიდენტის დირექტორები და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი სხვა პირები. არარეზიდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები დამოწმებული უნდა იყოს აპოსტილით ან ლეგალიზებული საზღვარგარეთ გაცემული საბუთებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ამასთან დასაშვებია აპოსტილირებული დოკუმენტის საქართველოში ნოტარიულად დამოწმებული ასლის წარმოდგენა.

6.2.ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, რომელიც ადასტურებს პირის უფლებამოსილებას იმოქმედოს აუქციონში მონაწილის სახელით (თუ აუქციონში მონაწილე არ არის საქართველოს რეზიდენტი, მაშინ მინდობილობა დამოწმებული უნდა იყოს აპოსტილით ან ლეგალიზებული მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად). ამასთან, თუ მინდობილობა გაცემულია საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ ამავე იურიდიული პირის თანამშრომელზე, მინდობილობის გაცემისას სანოტარო ფორმის დაცვა აუცილებელი არ არის. თუ აუქციონში მონაწილე კომპანიას წარმოადგენს მისი ხელმძღვანელი, მაშინ წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (არარეზიდენტი კომპანიის შემთხვევაში ანალოგიური საბუთი, რომელიც ადასტურებს პირის წარმომადგენლობით უფლებამოსილებას).

6.3.თუ აუქციონში მონაწილე არ არის საქართველოს რეზიდენტი და მინდობილობის ნოტარიულად დამოწმება არ ხდება საქართველოში, მაშინ მინდობილობა დამოწმებული უნდა იყოს აპოსტილით ან ლეგალიზებული საზღვარგარეთ გაცემული საბუთებისათვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. დასაშვებია აპოსტილირებული დოკუმენტის საქართველოში ნოტარიულად დამოწმებული ასლის წარმოდგენა. მინდობილობაში უნდა მიეთითოს წარმომადგენელი პირის პირადობის მოწმობის ან საპასპორტო მონაცემები.

6.4 აუქციონში მონაწილის რეკვიზიტები: დასახელება, საკონტაქტო მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომერი.

7. სახელშეკრულებო პირობები:

7.1 აუქციონში გამარჯვებულ პირსა და კორპორაციას შორის გაზის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს აუქციონში გამარჯვებული პირის გამოცხადებიდან არაუმეტეს 3 (სამი) კალენდარული დღის განმავლობაში.

7.2 გაზის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 3 (სამი) საბანკო დღის განმავლობაში აუქციონში გამარჯვებულმა კორპორაციას წინასწარ უნდა გადაუხადოს 300 000 (სამასი ათასი) მ3 გაზის ღირებულება.

7.3 7.2 პუნქტში მითითებული წინასწარი ანგარიშსწორების მექანიზმის გამოყენების ნაცვლად, აუქციონში გამარჯვებულს, ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 3 (სამი) საბანკო დღის განმავლობაში, შეუძლია კორპორაციას წარუდგინოს, კორპორაციისათვის მისაღები საფინანსო ინსტიტუტის მიერ გაცემული, უპირობო და გამოუთხოვადი საბანკო გარანტია ან აკრედიტივი არანაკლებ 300 000 (სამასი ათასი) მ3 გაზის ღირებულების თანხაზე, ხოლო შემდგომში - ყოველი მომდევნო საანგარიშო თვის 10 რიცხვამდე. იმ შემთხვევაში როდესაც სარეალიზაციოდ დარჩენილი იქნება 300 000 (სამასი ათასი) მ3 გაზზე ნაკლები მოცულობა, საბანკო გარანტია ან აკრედიტივი წარმოდგენილ უნდა იქნას ამ მოცულობაზე გაანგარიშებით. ხსენებული საბანკო გარანტიის ან აკრედიტივის მოქმედების ვადა უნდა შეადგენდეს სულ მცირე 4 (ოთხ) თვეს.

7.4 გაზის მიწოდება დაიწყება მხოლოდ მას შემდეგ რაც აუქციონში გამარჯვებული შეასრულებს 7.2 ან 7.3 პუნქტებში აღნიშნულ მოთხოვნას.

7.5 თუ აუქციონში გამარჯვებული კორპორაციასთან ანგარიშსწორებისათვის აირჩევს 7.2 პუნქტით განსაზღვრულ წინასწარი გადახდის მექანიზმს, მაშინ იგი გაზის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან ყოველ მომდევნო საანგარიშო კალენდარული თვის 10 (ათ) რიცხვამდე კორპორაციას უხდის 300 000 (სამასი ათასი) მ3 გაზის საფასურს. იმ შემთხვევაში როდესაც სარეალიზაციოდ დარჩენილი იქნება 300 000 (სამასი ათასი) მ3 გაზზე ნაკლები მოცულობა, შემდგომი კალენდარული თვის 10 რიცხვამდე აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია კორპორაციას გადაუხადოს ამ მოცულობის მთლიანი ღირებულება. იმ შემთხვევაში, თუ საანგარიშო თვეში მიწოდებული გაზის ღირებულება გაზის ღირებულება გადააჭარბებს მყიდველის მიერ წინასწარი ანგარიშსწორების მეშვეობით გადახდილ თანხას, სხვაობა მყიდველმა უნდა დაფაროს ყოველი საანგარიშო თვის შემდეგი თვის 10 რიცხვამდე. თუ საანგარიშო თვეში მიწოდებული გაზის ღირებულება ნაკლები იქნება მყიდველის მიერ წინასწარი ანგარიშსწორების მეშვეობით გადახდილ თანხაზე, ზედმეტად გადახდილი თანხა ჩაითვლება მომავალ საანგარიშო თვეში გადასახდელი თანხის ანგარიშში.

7.6 საანგარიშო კალენდარული თვის დასრულებიდან მომდევნო 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში გაზის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების მხარეები აფორმებენ კომერციულ აქტს საანგარიშო თვის განმავლობაში მიწოდებული გაზის მოცულობაზე.

7.7 თუ აუქციონში გამარჯვებული კორპორაციას წარუდგენს 7.3 პუნქტში ხსენებულ საბანკო გარანტიას ან აკრედიტივს, მაშინ საანგარიშო თვეში მიწოდებული გაზის საფასური კორპორაციისათვის გადახდილი უნდა იქნას 7.6 პუნქტში აღნიშნული კომერციული აქტის შედგენიდან 3 (სამი) საბანკო დღის განმავლობაში.

8. სხვა პირობები:

8.1 აუქციონის ჩატარების შესახებ წინამდებარე განცხადების პირობებით დაინტერესებულ პირებს ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ასევე კორპორაციის ინტერნეტ გვერდზე - www.gogc.ge.

8.2 გაზის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების პროექტის გასაცნობად დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას", შემდეგ მისამართზე:

საქართველო, ქ. თბილისი,
კახეთის გზატკეცილი N21.

საკონტაქტო პირი - დავით ციციშვილი
ტელ: +995 (32) 224 40 40 (შიდა ნომერი - 358)
მობ: +995 (591) 19 80 08;
ფაქსი: +995 (32) 224 40 41
ელ. ფოსტა: d.tsitsishvili@gogc.ge

კორპორაციის საბანკო რეკვიზიტები:

მიმღები: სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია"
საიდ. კოდი: 206237491
ბანკის დასახელება: სს საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: GE80BG0000000145770000

სააქციოსაზოგადოება "საქორგგაზი"-ს (ს/კ 208147637) აქციონერთასაყურადღებოდ

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
სააქციოსაზოგადოებისრიგგარეშეკრებისმოწვევისშესახებ

გაცნობებთ, რომ 2014წლის20იანვარსდღის 12საათზესაქართველოს "მეწარმეთაშესახებ" კანონისთანახმადსს "საქორგგაზი"-ს დირექტორიიწვევსსაზოგადოებისაქციონერებსსააქციოსაზოგადოებისრიგგარეშესაერთოკრებაზე, რომელიცგაიმართება ქ. თბილისი, ქიზიყის ქ.N13.

დღის წესრიგი

1.სს "საქორგგაზის" კაპიტალის (საწესდებო კაპიტალის) ცვლილება.
2.სხვა და სხვა.

დღისწესრიგისსაკითხებისგამოდაწვრილებითიინფორმაციისმიღებააქციონერებსშეუძლიათკომპანიისადმინისტრაციაში.

სპორტის სამინისტროს რჩეულები

გიგა გურასაშვილი

საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ძიუდოისტი ავთანდილ ჭრიკიშვილი 2013 წლის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელა. ქართული ოლიმპიური ოჯახის არჩევანს გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინიტრომაც აუბა მხარი და წლის საუკეთესო სპორტსმენად ასევე ავთანდილ ჭრიკიშვილი დაასახელა, წლის საუკეთესო გუნდად კი ძიუდოისტთა ნაკრებია.

სპორტის სამინისტროს ვერსიით, წლის საუკეთესო სპორტსმენი ავთანდილ ჭრიკიშვილია

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ დაჯილდოვების საზეიმო ცერემონიალისთვის შარშანდელის დარად არჩევანი კვლავაც ფილარმონიის „ივენთ ჰოლზე“ გააკეთა. საზეიმო მიღებას მრავლად ესწრებოდნენ ქართული სპორტული სამყაროს წარმომადგენლები - ვეტერანი თუ მოქმედი სპორტსმენები, ოლიმპიური თუ არაოლიმპიური სპორტის სახეობათა წარმომადგენლები, ფედერაციის ხელმძღვანელები და მათი სტუმრები.

დაჯილდოვების ცერემონიალისას რთული გამოსაცნობი არ იყო თუ ვის ხვდებოდა 2013 წლის საუკეთესო სპორტსმენის სახელი. შეიძლება ითქვას, ეს წინასწარაც ვიცოდით.

ავთანდილ ჭრიკიშვილმა წლეულს ბევრი შეძლო. საერთაშორისო ტურნირებიდან პრესტიჟულ პარიზის „დიდ სლემი“ ვერცხლის მედლით დაასრულა, დიუსელდორფის „დიდ პრიზზე“ კი სულაც საუკეთესო იყო. მოიგო ბუდაპეშტის ევროპის ჩემპიონატი, მათ შორის გუნდური ევროპირველობაც. რიო დე ჟანეიროში ახლოს იყო მსოფლიო ჩემპიონობასთანაც, მაგრამ ამ შემთხვევაში ოქრო ფრანგ ლოის პიეტრის დაუთმო. შეგვიძლია მიზეზიც ვთქვათ თუ რატომ წააგო ის ფინალი - ნახევარფინალში რუს ივან ნიფონტოვთან რთული ორთაბრძოლის მერე მალევე მოუწია ფინალური შეხვედრა. ამბობდა კიდეც, ფინალამდე 15-20 წუთიც რომ მქონოდა დასასვენებლად, სხვანაირად ვიჭიდავებდიო.

ფაქტია, გუნდურში ასპარეზობისას ჭრიკიშვილმა პიეტრის ყველანაირი გზა გადაუკეტა, მოუგო და მალევე გუნდურში მსოფლიო ჩემპიონობაზე იზეიმა, გუშინ კი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ვერსიით წლის საუკეთესო სპორტსმენობასაც გამოკრა ხელი.

სპორტის სამინისტრომ წლის საუკეთესო გუნდად სწორედ ძიუდოისტთა ნაკრები დაასახელა, საუკეთესო მწვრთნელად კი მათი დამრიგებელი ირაკლი უზნაძე.

საუკეთესო სპორტსმენი ქალი, ამავე სამყაროს წარმომადგენელი, ძიუდოისტი მარიამ ჯანაშვილია.

მტვრიანი შტატის პირველი ცეკვა

ზურა თალაკვაძე

დირკ ნოვიცკი და ტიმ დანკანი

ტიმ დანკანს კარიერაში 768 ორმაგი დუბლი აქვს. ამ სეზონში - 10. ტიმიმ მძიმედ დაიწყო რეგულარული და „სან ანტონიო“ ლიდერს ასვენებდა. მისტერ დანკანმა მოუმატა. ბოლო ტესტებში ტიმი ძველი, დანკანის კლასიკური სტატისტიკით აკეთებს საქმეს - 17.8 ქულა, 12.2 მოხსნა და 2.3 დაფარება. „სან ანტონიომ“ დაკარგა სტაბილურობა, მაგრამ ამ ეტაპზე „სპერსი“ ალაგებს, ეძებს ოპტიმალურ ხუთეულებს. გრეგ პოპოვიჩს მოეწონა მარკო ბელინელი და იტალიელი უფრო კრეატიულია, ვიდრე „მილუოკიში“ გადასული გარი ნილი. მისტერ ნილი უფრო სნაიპერობდა და ბელინელი პასსაც აკეთებს, დაცვაშიც იტალიელობს და მარკო ასვენებს ემანუელ ჯინობილის. არგენტინელმა უნდა დაისვენოს. დაღლილი მანუ მინუსია. პოპოვიჩს მინუსები არ უყვარს. გრეგმა უნდა მოიგოს და თუ მისტერ დანკანი ამ მოტივაციას შეინარჩუნებს, „სან ანტონიო“ არ გაჩერდება. სუპერფინალში გასვლა უფრო ძნელი იქნება, ვიდრე შარშან, მაგრამ გუნდი გამოცდილების და დანკანის მიქსტია. კლასი.

„დალასი“ „სან ანტონიოზე“ სუსტია. დირკ ნოვიცკის რენესანსი გრძელდება, მაგრამ სხვები ერთმანეთს ჯერ ვერ უგებენ. ან გასაგებად დაბალი დონის მოთამაშეები არიან. ესპანელი ხოსე კალდერონი გენიოსია, მაგრამ ვერ გაიგო, რა უნდა აკეთოს. კალდერონი კლასიკური პირველი ნომერია და „დალასში“ პირველ ნომერზე სწრაფ, ნიჭიერ და ეგოისტ მონტა ელისს აყენებენ. ხანდახან კალდერონსაც, მაგრამ ეს უფრო იშვიათად ხდება. კალდერონის ერთი პასი ელისის კარიერას ფარავს, მაგრამ „დალასში“ ჯერ პროცესს აკვირდებიან. ყველაფერს დაკვირდებიან. გუნდმა „სან ანტონიოსთან“ ბოლომდე ვერ გაქაჩა. ბოლო აკორდები ტიმ დანკანმა აიღო და დირკი ტიაგო სპლიტერმა დაღალა. რომელმაც გერმანელს 3 ფოლი აჩუქა. ტიაგომ ერთ-ერთ მონაკვეთში პერსონალურად დაასვენა მთელი გუნდი - სპლიტერმა არასრულ 23 წუთში 11 საჯარიმო შეასრულა და 8 გამოიყენა. პოპოვიჩი კმაყოფილი იყო. „სან ანტონიომ“ 116:107 მოიგო და ბოლო მეოთხედში სიტუაცია ხელოვნურად დაიძაბა.

პოპოვიჩის მოხუცი გუნდი 100:85 და დადგა. „დალასი“ 12:0 გაიქცა და ძირითადის დასრულებამდე არასრული 4 წუთით ადრე სხვაობა მხოლოდ 3 ქულა იყო. და დანკანმა დაიწყო. „სან ანტონიოს“ შემდეგ ოთხ შეტევაში ტიმი იყო ჯოკერი. სამი ზუსტი სროლა, პასი ორმაგი დაცვიდან დენი გრინზე და შუთერმა სამიანი აარტყა „მავერიქსს“. 110:103. ორივე გუნდი დამშვიდდა. პარალელურად, ტიმიმ ასაღები დაცვაშიც აიღო და გუნდმა ამ რეგულარულში ოცდამესამე ტესტი ჩააბარა. „სპერსი“ (23:7) სტაბილურად სტაბილურია და იგებს. დანკანის წინააღმდეგ „დალასმა“ სამუელ დალემბერი მიუშვა და ტიმიმ სემი ვერ შეამჩნია. დანკანზე მივიდა ტიმის ყოფილი თანაგუნდელი, მისტერ ბლერი და ტიმიმ ბლერი ერთი-ორჯერ გაატარა. ბლერმა თამაში 14 ქულით, 11 (7 Off) მოხსნით და 3 პასით დაასრულა. დანკანმა ჩასაგდები იმ მომენტში ჩააგდო, როდესაც „სპერსი“ იშიფრებოდა. და „დალასმა“ ტიმის გამოცდილების შეწუხება ვერ გაბედა. დანკანმა კიდევ ერთხელ მოუგო „დალასს“.

დანკანი თავის საქმეს აკეთებს და „სან ანტონიოს“ პერიმეტრი „დალასთან“ დენი გრინმა ჩაიბარა. 22 წუთში გრინმა 22 ქულა დააგროვა. გრინი ამ სეზონის 30 თამაშში მხოლოდ ოთხჯერ ვერ შევიდა პირველ ხუთეულში და გრინმა იცის, რომ პოპოვიჩი საუკეთესო ხუთეულს ეძებს. გრინმა 7/7 სროლა (5/5 სამიანი) გამოიყენა. დენი დაცვაშიც მშვიდი იყო. მეორე მეოთხედში დენიმ 11 ქულა აკრიფა და „სან ანტონიომ“ „დალასის“ პირველ დარტყმას გაუძლო. „სპერსი“ „დალასს“ იცნობს. „დალასიც“ იცნობს „სპერსს“ და თუ ნოვიცკის ახლობლები ფლეი ოფში გავლენ, ტექსასური გარჩევები დაიწყება. ტექსასური გარჩევები გაგრძელდება და „სან ანტონიო“ იმ სერიაში ფავორიტი იქნება.

„სან ანტონიო“ ამ რეგულარულში ყველაზე კარგად თამაშობს სტუმრად. 13:3. მეორეზეა „პორტლენდი“ (12:3). „ბლეიზერსმა“ საკუთარ ტერიტორიაზე დამატებით დროში გააჩერა კრის პოლის, ბლეიქ გრიფინის, დოკ რივერსის „კლიპერსი“. პორტლენდში ტერი სტოტსმა კიდევ ერთი აუცილებელი თამაში მოიგო და პორტლენდში „ტრეილ ბლეიზერსი“ რაღაც სერიოზულისთვის ემზადება. გუნდს ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო სასტარტო ხუთეული ჰყავს და „პორტლენდი“ ძალიან კარგია. უბრალოდ, ძალიან კარგი. ნიკოლა ბატუმმა სამიანით ოვერტაიმი დასვა და იქ უკეთ „პორტლენდმა“ შეასრულა საშინაო დავალება. 116:112. კრის პოლი იყო ტერმინატორი. პატარა, დაუნდობელი ტერმინატორი, რომელმაც გარჩევა 34 ქულით, 16 პასით, 6 ჩაჭრით და მხოლოდ 1 შეცდომით დაასრულა. გრიფინი - 35+11 მოხსნა. დეანდრე ჯორდანი - 19 მოხსნა. და „პორტლენდმა“ მაინც მოიგო. „პორტლენდმა“ უფრო დაბალანსებული შემადგენლობით მოიგო და პირველი ხუთეულის ყველა ბიჭმა ათი და მეტი ქულა დააგროვა. ბატუმი 19 (+7 მოხსნა+3 პასი), ლამარკუს ოლდრიჯი 32 (+10 მოხსნა+4 პასი), რობინ ლოპესი (11 (+14 მოხსნა), დამიან ლილარდი (14 (+5 მოხსნა+4 პასი+წაგებული დაპირისპირება პოლთან) და უესლი მეთიუზი 19 (+7 მოხსნა+6 პასი). კლასიკური თამაში კლასიკური ხუთეულისგან. „პორტლენდი“ სახიფათო გუნდია და ტერი სტოტსმა ლიდერები უნდა შეინახოს. ოდნავ მეტი უნდა დაასვენოს, რომ ხუთეული მზად იყოს აპრილისთვის. ეს აუცილებელი იქნება. მანამდე „პორტლენდმა“ დასავლეთის პირველი ხუთეულის ვიზა უნდა მიიღოს. ვნახოთ, ძნელი არ უნდა იყოს.

ტიმ დანკანს კარიერაში 768 ორმაგი დუბლი აქვს. ამ სეზონში - 10. ტიმიმ მძიმედ დაიწყო რეგულარული და „სან ანტონიო“ ლიდერს ასვენებდა. მისტერ დანკანმა მოუმატა. ბოლო ტესტებში ტიმი ძველი, დანკანის კლასიკური სტატისტიკით აკეთებს საქმეს - 17.8 ქულა, 12.2 მოხსნა და 2.3 დაფარება. „სან ანტონიომ“ დაკარგა სტაბილურობა, მაგრამ ამ ეტაპზე „სპერსი“ ალაგებს, ეძებს ოპტიმალურ ხუთეულებს.

დანკანი ფლეი ოფისთვის მზად იქნება. როგორც ყოველთვის.

ძიუდოისტები წაახალისეს

ყოველი სპორტული სეზონის ბოლოს, ჩვეულებრივ, დღის წესრიგში დგება წლის განმავლობაში წარმატებული სპორტსმენების დაჯილდოების საკითხი. 2013 წელს ქართველმა ძიუდოისტებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე როგორც უფროს ასაკში, ისე ახალგაზრდებსა და კადეტებში.

საქართველოს ძიუდოს ფედერაცია განსაკუთრებით იყო დაინტერესებული წარმატებული ძიუდოისტების დაჯილდოებით, რადგან ეს დიდ გავლენას ახდენს მათს ასპარეზობებზე მომავალ შეჯიბრებებში. საქართველოს მთავრობის განკარგულებით, წარმატებული სპორტსმენების პრემიალური თანხები, ბოლო წლებთან შედარებით, 50%-ით გაიზარდა.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ სპორტსმენთა პრემირებისთვის გამოყოფილი თანხიდან, სპორტის სხვა სახეობებთან შედარებით, გაცილებით მეტი (წარმატებების შესაბამისად) - დაახლოებით 2 მილიონი ლარი - ძიუდოისტებსა და ძიუდოში დასაქმებულ მწვრთნელებს შეხვდებათ.

საქართველოს ძიუდოს ფედერაცია, ქართველი ძიუდოისტებისა და მათი მწვრთნელების სახელით, მადლობას უხდის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სპორტსმენთა პრემირების საკითხზე გაწეული მუშაობისთვის, ასევე მადლობას უხდის საქართველოს მთავრობას სპორტსმენთა წარმატების დაფასებაში.

იმედია, ეს წახალისება ქართველ ძიუდოისტებს სასიკეთოდ წაადგებათ, კიდევ უფრო მეტ გამარჯვებას მოუტანენ თავიანთ ქვეყანას და გაახარებენ ქართველ გულშემატკივარს.

gjf.ge

ფეხბურთის ფედერაციამ 2013 წლის საუკეთესოები გამოავლინა

პირველი გვერდიდან

სფფ-ის შემაჯამებელ ღონისძიებაზე გამოვლინდნენ და დაჯილდოვდნენ წლის საუკეთესო ფეხბურთელები - ისინი, ვინც 2013 წელს განსაკუთრებით გამორჩეულები იყვნენ.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ საუკეთესოების გამოსავლენად აზრი პროფესიონალებს ჰკითხა. ხმის მიცემის პროცესში მონაწილეობდნენ საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების მთავარი მწვრთნელები, ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი და პირველი ლიგის მწვრთნელები და კაპიტნები.

ნომინანტები გამოვლინდნენ ოთხი ნომინაციიდან:

წლის საუკეთესო ახალგაზრდა (21-წლამდე) ფეხბურთელი;

ეროვნული ჩემპიონატის წლის საუკეთესო ფეხბურთელი;

წლის საუკეთესო ქართველი ლეგიონერი;

2013 წლის საუკეთესო ქართველი ფეხბურთელი.

გამარჯვებულების გამოვლენამდე განვლილი წელი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა და გენერალურმა მდივანმა შეაჯამეს.

2013 წელი დატვირთული იყო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის. სფფ-მ მაღალი დონის არაერთ ტურნირს უმასპინძლა. ამ წლის განმავლობაში, საერთო ჯამში, სხვადასხვა ასაკობრივი და ეროვნული ნაკრები გუნდების მოსამზადებლად მოეწყო 60 შეკრება. ჩვენმა ნაკრებმა გუნდებმა 91 ამხანაგური და 36 ოფიციალური მატჩი ჩაატარეს.

2013 წლის საუკეთესო ფეხბურთელი გურამ კაშიაა

რაც შეეხება დაჯილდოებას, წლის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი გახდა ვაკო ყაზაიშვილი. ნომინანტები კი იყვნენ გიორგი პაპავა და გიორგი ჭანტურია, რომლებმაც, შესაბამისად, მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს.

ეროვნული ჩემპიონატის წლის საუკეთესო სამეული ასეთია: გამარჯვებული - გიორგი ლორია, II ადგილი - ელგუჯა გრიგალაშვილი, III ადგილი - ჩისკო.

წლის საუკეთესო ქართველი ლეგიონერი, ისევე როგორც შარშან, არნემის «ვიტესის“ კაპიტანი გურამ კაშიაა. მეორე-მესამე ადგილებზე ჯაბა კანკავა და ვაკო ყაზაიშვილი გავიდნენ.

სფფ-ის სპეციალური პრიზი - წლის საუკეთესო გუნდი გადაეცა გია ცეცაძის 19-წლამდელთა (ახლა უკვე 20-წლამდელთა) ნაკრებ გუნდს, რომელმაც გასული წლის ივლისში უეფას 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე ითამაშა.

საღამოს კულმინაცია იყო 2013 წლის საუკეთესო ფეხბურთელის გამოვლენა. ნომინანტების სამეული ასეთი გახლდათ: გურამ კაშია, გიორგი ლორია და ჯაბა კანკავა.

გამარჯვებული და წლის ნამდვილი ტრიუმფატორია გურამ კაშია. საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველი ამ ტიტულის მფლობელი უკვე იყო და 2013 წელსაც დამსახურებულად შეინარჩუნა.

«ბედნიერი ვარ და ვღელავ. წელს ნამდვილად არ ველოდი ასეთ შედეგს. დიდი მადლობა ფეხბურთის ფედერაციას და იმ პროფესიონალებს - მწვრთნელებსა და კაპიტნებს, ვინც ჩათვალა, რომ ამ ჯილდოს ვიმსახურებ. ცოტა მეუხერხულება კიდეც, რადგან ვფიქრობ, რომ ჩემი ამპლუის ფეხბურთელის ასეთი აღიარება ძალიან ძნელია. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა“, - განაცხადა 2013 წლის საუკეთესო ფეხბურთელმა.

რაკი საფეხბურთო სამყაროს წლის შემაჯამებელ ღონისძიებაზე ვსაუბრობთ, ეროვნული ნაკრების 2013 წლის ყველა მატჩსა და ჩემპიონთა ლიგისა თუ ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო მატჩებში ქართული კლუბების სტატისტიკასაც გადავავლოთ თვალი.

ეროვნული ნაკრების 2013 წლის ყველა მატჩი:

06.02.
ალბანეთი - საქართველო 1:2
(ამხანაგური მატჩი)
22.03.
საფრანგეთი - საქართველო 3:1
(მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი)
02.06.
ირლანდია - საქართველო 4:0
(ამხანაგური მატჩი)
05.06.
დანია - საქართველო 2:1
(ამხანაგური მატჩი)
14.08.
ყაზახეთი - საქართველო 1:0
(ამხანაგური მატჩი)
06.09.
საქართველო - საფრანგეთი 0:0
(მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი)
10.09.
საქართველო - ფინეთი 0:1
(მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი)
15.10.
ესპანეთი - საქართველო 2:0
(მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი)

2013 წელს საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ჩაატარა 8 მატჩი: 1 მოიგო, 1 ფრედ დაასრულა, 6 წააგო. ბურთების შეფარდება - 4-14.

...

ჩემპიონთა ლიგა, II საკვალიფიკაციო ეტაპი:

„დინამო“ (თბ.) - «სტრეიმური“ (ფარ.) 6:1

«სტრეიმური“ - „დინამო“ 1:3

ჩემპიონთა ლიგა
III საკვალიფიკაციო ეტაპი:

„დინამო“ (თბ.) - „სტიაუა“ (რუმ.) 0:2

„სტიაუა“ - „დინამო“ 1:1

ევროპის ლიგა
I საკვალიფიკაციო ეტაპი

„ტორპედო“ (ქუთ.) - „ჟილინა“ (სლოვ.) 0:3

«ჟილინა“ - „ტორპედო“ 3:3

„ჩიხურა“ (საჩ.) - „ვადუცი“ (ლიხტ.) 0:0

„ვადუცი“ - „საჩხერე“ 1:1

ევროპის ლიგა
II საკვალიფიკაციო ეტაპი

„დილა“ (გორი) - „ოლბორგი“ (დან.) 3:0

„ოლბორგი“ - „დილა“ 0:0

„თუნი“ (შვეიც.) - „ჩიხურა“ (საჩ.) 2:0

„ჩიხურა“ - „თუნი“ 1:3

ევროპის ლიგა
III საკვალიფიკაციო ეტაპი

„ჰაიდუკი“ (ხორვ.) - „დილა“ (გორი) 0:1

„დილა“ - „ჰაიდუკი“ 1:0

ევროპის ლიგა
ფლეი ოფი

„დინამო“ (თბ.) - «ტოტენჰემი“ (ინგ.) 0:5

«ტოტენჰემი“ - „დინამო“ - 3:0

„რაპიდი“ (ავსტ.) - „დილა“ (გორი) 1:0

„დილა“ - „რაპიდი“ - 0:3